

ჰიზრან სალილ ჰიზრანი

წინასწარმეტყველი

ISBN 978-99940-933-1-1

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2007.

ჯიბრან ხალილ ჯიბრანი

წინასწარგეტყველი

ინგლისურიდან თარგმნა
დავით-დავით გოგიბადაშვილმა



გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი

ყდაზე გამოყენებულია
დავით-დედი გოგიბედაშვილის ნახატი

„წინასწარ...“

... და სანამ სხვა ქალი გააჩენდეს, აქ არის იგი, სიჩუმის წამზე შეყოვნებული, და ნება შენია, წაიკითხავ თუ არა.

ნებაზეც გეტყვის, თავისუფლებაზეც...

საერთოდაც, შინაურივით ჩამოგიფდება თვალწინ და თუ შეძლებ და ბოლომდე მოუსმენ, იქნებ დიდი ხნის დაუგემოვნებელი წიგნისგან გამონვეული რალაც ცრემლის მსგავსითაც კი წამოგატიროს. გაიკვირვებ... სტრიქონებთან უფრო მეტად მიუჩოჩდები და თითოეულს რამდენჯერმეც გადაკრავ თვალს. თითქოს სადღაც დან გეცნობა ეს ცოდნაც და ლაპარაკიც, თითქოს შენივე გულიდან ამოაქვს და წინ გიშლის შენსავე ცოდნას, ღრმად, ღრმად დამარხულს...

მერე შესაძლოა, იამაყო კიდეც, რომ ამ წიგნის კითხვის მანძილზე, მთელი ეს დრო საკუთარ თავთან ლაპარაკობდი!..

ეს „წინასწარმეტყველია“. ჯიბრან ხალილ ჯიბრანი. და, დეფი...

მე არ მყავს მეგობარი, რომელიც გაყინულ ოთახში ზის და ისე წერს, თითქოს ძველი გადამწერი იყოს, საკრალურ ტექსტთა „გამომათარგმანებელი“, ჯერ რომ

„საჩინო სასმენელის“ მოხმობას შესთხოვს მკითხველს და მერე ალაპარაკდება...

მე მყავს მეგობარი, რომელიც თავის ოთახში (შესაძლოა, გაყინულშიც...) ზის, თავისი აწმყოთი და სინამდვილით ბუნებრივი, უსაზღვროდ ტკება იმით, რომ წერს და დროდადრო ესიზმრება რაღაც.

სწორედ ამიტომ „წინასწარმეტყველმა“ და ჩემმა მეგობარმა აქ და ახლა, აწმყოში იპოვეს ერთმანეთი.

ყველა ზეცა გადავა და დარჩება წინათგრძნობა. როგორც ახალი ნიჭი, ახალი სიცოცხლე. არავინ იცის, საუკუნეების შემდეგ ადამიანები როგორი სიტყვებით, როგორი ენით დაელაპარაკებიან ერთმანეთს, მაგრამ ამ საუბარში აუცილებლად იქნება სიზმარი, შეგრძნება, ხილვა, რათა სიცოცხლე არ მოწყდეს თავის ფესვებს და დასასრულამდე „გარდაიცვალოს“ სხვა სიცოცხლეში.

უამრავ წინასწარმეტყველებათა შორისაც, არსებობს ერთი. ისევე, როგორც საბოლოოდ, ყველა მრავალი ერთში მთლიანდება...

„წინასწარმეტყველი“ „ხვალის“ ენაა.

ყველას ჩვენ ჩვენი გვაქვს „ხვალე“.

... და მეტყვის მკითხველი: „თარგმანზეც თქვი“.

ვუპასუხებ: „მისდით თქვენ“...

ნინო სადღობელაშვილი

ყყყ გვშვუთშფ აშლკპფ პკქიფპშ
იუვშთ შვუტბ იფმიკგ ვფ კუემ
გლუპუთშფ თშენმფ თგდქტფმშ
ლუიფპფ ლუიშთ ქფბფდშ თმუემყ

ვხვყპყ



აღმუსტაფა, რჩეული და ძე საყვარელი, აისი თვისი დღისა, თორმეტი წელი ქალაქ ორფალესში ხომალდის დაბრუნებას ელოდა, რომელსაც იგი კუნძულზე უნდა წაეყვანა, სადაც დაიბადა.

მეთორმეტე წელიწადს, აილულის მეშვიდე დღეს, თვეს მოსავლის აღებისა, იგი ქალაქის მიღმა ბორცვზე ამაღლდა და მზერა ზღვისკენ აქცია, ხომალდი შენიშნა რომ ნისლეულით ახლოვდებოდა.

მაშინ გაეხსნა გულისკარი და სიხარული თვისი მთელს ზღვას გადასწვდა. თვალები დახუჭა და მშვიდნიერ წიაღში მდუმარებით ჩაეფლო ლოცვით.

მაგრამ დაბრუნებისას სევდამ დაამძიმა და გულზე დაადო ფიქრი: – როგორ წავიდე მშვიდობით, რომ დარდი არ გამყვეს? ქალაქს ვერ დავტოვებ თუ სულს არ მოვიტყვამ.

დასასრული არ უჩანდა ტანჯვის დღეებს, რაც ქალაქის ამ კედლებში გამიტარებია და არც ლამენი თავდებოდნენ და ვის ძალუძს მარტოობისა და ტკივილის დათმობა სინანულის გარეშე?

ჩემი სულის უთვალავი მარცვალი ვთესე ამ ქალაქის ქუჩებში და ბევრნი შვილნი ჩემნი, შიშვლად დადიან ამ ბორცვებს შორის და მე არ ძალმიძს იოლად და უმტკივნეულოდ უარვეყო ისინი.

არა სამოსელს ვიცვლი დღეს, არამედ ტყავს საკუთარი ხელით ვიძრობ.

არა ფიქრს ვტოვებ ჩემს შემდეგ, არამედ შიმშილითა და ნყურვილით დალბილებულ გულს ჩემსას.

ვერ დავაყოვნებ. ზღვამ მოიხმო ყველა არსი და მეც თავისთან მიხმობს. უნდა გავემგზავრო, ზღვაში გავიდე რადგან თუ დავრჩი გავიყინები, ლოლოსავით გავყინულდები თუმცა ჟამია ღამის, აღის ჟამია.

ყველაფერს თან გავიყოლებდი, მაგრამ როგორ?

ხმას არ ძალუძს ენა და ბაგენი თან გაიყოლოს, რამაც დააფრთიანა, მან მარტომ უნდა შეხსნას ზეკარი.

და არწივიც მარტო ფრენს მზისკენ, კლდის მწვერვალებზე სტოვებს რა ბუდეს.

ჩამოახლოვდა ბორცვის ძირთან, ისევ ზღვას გახედა. ხომალდი ყურეს მომდგარიყო, ხოლო გემბანზე ზღვაოსნები იდგნენ, თანამემამულენი.

მაშინ სამშინველმა მისმა მოუხმო მათ და თქვა:

– შვილნო ჩემი დედათმთავრისა, თქვენ ტალღები გახედნეთ, რამდენჯერ მოცურებულხართ ჩემდა სიზმრად და ახლა მენვიეთ, როცა კი გამოვიღვიძე და გამოღვიძება ჩემი, ჩემივე ძილია ყველაზე ღრმა, მზად ვარ შევცურო და მოუთმენლად აღვმართო აფრა, დაე, ზურგის ქარმა დაჰბეროს მას.

დაე, მეც მშვიდად ვისუნთქო, ნაპირს სიყვარულით გამოვხედო და ზღვაოსანთა შორის დავდგე თავად ზღვაოსანი.

მთვლემარე დედაო, ზღვაო უხმელეთო, მდინარენი და ნაკადულნი შენში ჰპოვებენ სიმშვიდესა და თავისუფლებას.

მხოლოდ ერთხელ მოიქცევა მდინარე, მხოლოდ ერთხელ გაიჩქაფუნებს ველად და მეც შემოვიღვრები შენში, უსასრულო წვეთი უსასრულო ოკეანისა.

ის მიდიოდა და შორიდან ცქერდა, კაცნი და ქალები, საკუთარი ჭალებიდან და ვენახებიდან ქალაქის კარიბჭისკენ როგორ მოიჩქაროდნენ.

ესმოდა მის სახელსაც როგორ გაიძახოდნენ და ყოველ ჭალაში როგორ ახარებდნენ ერთმანეთს მისი ხომალდის მოსვლას.

და თქვა მან თავისთვის:

– განა განშორების დღე მოსავლის ალების დღედ შეიქნება?

იტყვიან განა, რომ სალამო ჩემი ჭეშმარიტად ჩემი განთიადია?

რა მივცე მას, ვინც თავისი სახნისი ნახნავში მიაგდო, ან მას, ვინც დაუჭყლეტელი ყურძენი საწნახელშივე მიატოვა?

იქცევა განა ჩემი გული ნაყოფიერ ხედ, რათა ხილი შევაგროვო და მივართვა მათ?

ნატვრანი ჩემნი, ჩემშივე თუ დაიწურებიან და წვენი ესე მათ სასმისებს აავსებს?

განა ქარი ვარ, ძღვევამოსილის ხელი რომ შემეხოს?! განა სტვირი ვარ, მისმა სუნთქვამ რომ სხეულში დამიაროს?!

მე მდუმარებას ველტვოდი, მაგრამ რა საუნჯე აღმოვაჩინე მასში, რომ ასე თამამად ვარიგო ყველგან?

თუ დღევანდელი, ჩემი მოსავლის დღეა დღე ჭირნახულის, მაშ, იმ უხსოვარ დროს რომელი მინდვრები ვთესე?

თუ ჭემმარიტად ჟამი დამიდგა მნათობის ზიდვის, მაშ, ჩემი ცეცხლი შიგ არ ენთება.

ლამპარს ბნელს და ცარიელს ჩემსას აღვმართავ.

ხოლო ტალა, გუშავი ღამის, ზეთით გაჟღენთს და დაანთებს მას.

ასე აიმაღლა ხმა. მაგრამ გული მისი ბევრს იტევდა ჯერ კიდევ უთქმელს, რამეთუ არ შეეძლო საიდუმლო გაენდო, რაც მისთვის, ერთისთვის იყო ცნობილი.

ქალაქში შესვლისთანავე ყველა მის შესახვედრად გამოვიდა. ერთხმად ესალმებოდნენ, სიხარულით ერთით.

უზუცესნი წინ გადმოდგნენ და თქვეს:

– ნუ მიგვატოვებ, ჩვენს ბინდში ნათელი იყავი შუადღის და სიჭაბუკე შენი ოცნებას გვანიჭებდა.

ჩვენს შორის უცხო არ ხარ და არც სჭუმარი, არამედ ძე ჩვენი საყვარელი, ჩვენს მზერას სახებას შენსას ნუ მონატრებ.

ქურუმებმა უთხრეს:

– ტალღებს ზღვებისას ნუ დააშორებინებ ჩვენს თავს, რათა ჩვენთან გატარებული შენი წლები მოგონებებად არ გვექცნენ.

სულთ, ჩვენს შორის თრთოდი და აჩრდილი შენი სინათლედ გვეჩვენა.

ჩვენ ასე გვიყვარდი, მაგრამ ვსდუმდით და ვმაღავდით სიყვარულს, ახლა იმ ქვეყნის გასაგონად გავიძახით და იგი შენს ფერხთანაა დაფენილი.

მარად ასე იყო, სიყვარულის ძალას განშორებისას ვიგებთ.

მოვიდნენ სხვები და სთხოვეს მასაც, მაგრამ მან არავის უპასუხა, თავი დახარა მხოლოდ და ისინი, ვინც მასთან ახლოს იდგნენ, ხედავდნენ ცრემლი როგორ ეღვრებოდა მკერდზე.

ხალხთან ერთად დიდი მოედნისკენ წავიდა. ტაძრის წინ.

სამლოცველოდან დედაკაცი გამოვიდა, ალმიტრა ერქვა, გულთმისანი.

მან კი მოსიყვარულედ დახედა ქალს, ადრე პირველად ვისაც ეპოვნა იგი და ერწმუნა მისი, როცა ქალაქში გამოჩნდა.

ქალი ესალმებოდა, სიხარულით იტყოდა:

– ღვთის წინასწარმეტყველო, მიღმასკენ სულთმიქცეულო, დიდხანს ეძებდი შენს ხომალდს და აჰა, გამოჩნდა გემიც. დროა გაემგზავრო.

დიდია შენი დარდი და ამ მინაზეც, მოგონებების საუფლოზე სწუხარ, შენი ნატვრების საყდარი გებრალეხა. შენ არ შეგბოჭავს ჩვენი სიყვარული და აღარც სურვილნი ჩვენნი აღგიდგებიან გზად.

მაგრამ ჩვენ გთხოვთ გამგზავრებამდე გვითხარი რამე, შენი ჭეშმარიტება გვაგემე, ჩვენ მას შვილებს გადავცემთ, ისინი თავიანთ შვილებს და არ გაქრება იგი საუკუნოდ.

სიმარტოვეში გვიცქერდი ჩვენ და ფხიზლობდი მარად, გესმოდა ძილსმინდობილნი რომ ვიცინოდით, ანდა მოვთქვამდით.

ამიტომ გახსენი სულნი ჩვენნი და ყოველი გვითხარი სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის თუ კი რამაა დაფლული.

და მან მიუგო:

– ხალხო ორფალესისა, გარდა ერთისა რა უნდა გითხრათ, რომ ახლაც ბორგავენ სამშენ-ველნი თქვენნი.



მაშინ ალმიტრამ შესთხოვა:

– თქვი **სიყვარულზე**.

მან თავი ასნია, ხალხს გადახედა და დააუფლა სიჩუმე.

ხმამალლა დაინყო:

– თუ სიყვარული თქვენი მეგზურია, გაჰყევით. თუმცა მძიმეა სავალი მისი და ეკლიანი. თუ ფრთა მოგადოთ თვისი, მიენდეთ, მაშინაც კი თუ ბუმბულებში მალული ნალესი დაშნით დაგესერათ გული.

და თუ სიყვარული გიმღერით, ყური უგდეთ, ერწმუნეთ, თუნდაც მისმა ხმამ თქვენი ოცნებანი გაფანტოს, ჩრდილოეთიდან მონაბერი როგორც დაცრიცავს ბალნარს.

რადგან სიყვარული გნერთ ჯვარს და ჯვარზეც იგივე სიყვარული გაცვამთ.

ის გამოგზრდით თქვენ, ხეხილივით აგაყვავებთ, მაგრამ ძირშიც ის მოგჭრით.

ის თქვენს მწვერვალზე ამოირხევა და თქვენს რტოებს გულში ჩაიკრავს, მზის სხივებში რომ ნებვირობენ უბინოდ ნაზნი, მაგრამ თქვენს ფესვებშიც იგი ღრმავდება, რათა რისხვით შეგანჯღრიოთ.

როგორც ხორბლის თავთავნი, ის გიკრებთ თავის გარშემო.

ის გმოსავთ, რათა გაგაშიშვლოთ.

ის გთესავთ და იმკის თქვენს თავს და ჩენ-ჩოსგანაც ის განთავისუფლებთ.

ის მოგბელთ თქვენ, სანამ არ დარბილდებით.

შემდეგ კი თავის წმინდა ცეცხლს მიგცემთ, რათა წმინდა პურებად გამოცხვეთ და წმინდა ზიარებისთვის დატყდეთ.

ყოველივეს სიყვარული იქმს თქვენზე, რათა თვითონვე ახსნათ თქვენივე გულის საიდუმლონი და სიცოცხლის წიაღში სინმინდით შეაღწიოთ.

მაგრამ თუ დაშინდით და სიყვარულში მხოლოდ სიმშვიდე და სიტკბო ეძიეთ, სჯობს თქვენი სიშიშვლე ახლავე დაფაროთ და სიყვარულის კალოს განერიდოთ, ისეთ სამყაროში წახვიდეთ, სადაც წელიწადის დრონი ერთმანეთს არ სცნობენ, სადაც გაიცინებთ, მაგრამ ვერ გაიხარებთ, სადაც იტირებთ, მაგრამ გულზე არ მოგეშვებათ.

სიყვარული მხოლოდ თავს გიძღვნით და თავის გარდა არაფერს იღებს სანაცვლოდ.

სიყვარული არაფერს ფლობს, ამიტომაა მისი ფლობა შეუძლებელი.

და სიყვარული სიყვარულითვეა თვინიერი.

თუ შეყვარებული ხარ ნუ იტყვი: „ღმერთი ჩემს გულშია“ – უმჯობესია თქვა: – „მე ვარ ღვთის გულში“.

არასდროს იფიქრო, რომ სიყვარულის მართვა შეგიძლია. თუ იგი ღირსად ჩაგთვლის თავად გატარებს შენივე გზაზე, რადგან სიყვარულის ერთადერთი სურვილი თავის პოვნაა, და შენც მხოლოდ სიყვარულით შეიცნობ თავს.

მაგრამ თუ შეყვარებული ხარ და სურვილებზე უარს ვერ ამბობ, დაე, შენი სურვილები ასეთნი იყვნენ:

რუს ემსგავსე, რომ ნაკადულდება, გამდინარდება, გაზღვავდება და მღერის დღედაღამ.

რომ უსასრულო სინაზით უდიდეს ტკივილებს სწვდება.

რომ წყლად იღვრება და სისხლაც და უხარია თავისი ჭრილობა, ყოველ დილით, გაცისკრებისას, რომ შენც მაღლიერებით გიფეთქავს გული, რადგან შენდა წილად კიდევ ერთი დღე გერგო, შუადღესაც იმაზე ფიქრით განისვენებ, რომ ბედნიერი ხარ და საღამოობით ისევე მაღლობას აღავლენ, რადგან იცი რომ ხვალაც გეყვარება,

ვისზეც ლოცულობ და გულში იკრავ ის ღამითაც
შენთანაა და შენც ღამეს ადიდებ, მან ხომ თავი
დაგიტმო და ის დღე შენთვის დააღამა.

გიყვარდეთ ერთმანეთი სადამდეც შეძლებთ,
დაე, მიჯნურის ქებით ჩაგთვლიმოთ, თქვენს გულ-
ში რაც იღნვის და ტურეზზე გედებათ სიტყვად.



შემდეგ ალმიტრა ისევ ალაპარაკდა:

– თქვი **ქორწინებაზე**, მოძღვარო.

და მან უპასუხა:

– თქვენ ერთად იშვით და ერთადვე გასტანთ მარადისობას.

თქვენ მაშინაც ერთად იქნებით, როცა სიკვდილის თეთრი ფრთები თქვენს დღეებს გადაშლის.

თქვენ ღვთის მღუმარე საგონებელსაც ერთად შერჩებით, მაგრამ დაე, თქვენი სიახლოვე უზომობის გამო სიშორედ არ მოგეჩვენოთ! დაე, ზეცის ქარნი თქვენს შორის ცეკვავდნენ!

გიყვარდეთ ერთმანეთი, მაგრამ თავი ერთმანეთს არ მიაჯაჭვოთ.

დაე, სიყვარული ზღვასავით იყოს თქვენს სამშვინველთა ნაპირებს შორის.

ერთმანეთის სასმისები ერთურთს შეუვსეთ, მაგრამ ერთი სასმისიდან არ დალიოთ.

თქვენ თქვენი პური აგემეთ ერთმანეთს, მაგრამ ერთი ნატეხი არ ჩაკბიჩოთ.

იმღერეთ, იცეკვეთ, იხარეთ ერთად, მაგრამ დაე, თითოეული თქვენგანი მარტო იყოს, როგორც

ქნარის სიმები არიან მარტონი, თუმცა მათგან ერთი მუსიკა მოისმის.

გაეცით თქვენი გულები, მაგრამ არა ფლობისთვის, არამედ თავისუფლებისთვის, რადგან მხოლოდ სიცოცხლის ხელს ძალუძს თქვენი გულების მიღება.

ერთად იდექით, მაგრამ ძალიან ახლოს – არა.

რამეთუ ტაძრის სვეტებიც შორიშორ დგანან და მუხა და კიპარისიც ერთმანეთის ჩრდილში არ იზრდებიან.



და შესთხოვა ქალმა, ვისაც ყრმა ეპყრა ხელთ:
– გვითხარი **ბავშვებზე**.

და მან თქვა: – თქვენი შვილები თქვენი არაა.

ისინი თავზე დამწუნებული ცხოვრების ძენი და ასულნი არიან.

ქვეყნად თქვენი წყალობით მოდიან, მაგრამ არა თქვენგან.

თქვენთან არიან, მაგრამ თქვენ არ გეკუთვნიან.

შეგიძლიათ თქვენი სიყვარული მისცეთ, მაგრამ არა თქვენი ფიქრები.

მათ თავიანთი ფიქრი აქვთ.

შეგიძლიათ მათ სხეულს მისცეთ თავშესაფარი, მაგრამ არა მათ სამშვინველთ, რადგან მშვინ-ვიერება მათი ხვალინდელის სახლში ბინადრობს, სადაც თქვენ ოცნებითაც ვერ შეხვალთ.

შეგიძლიათ მათ დაემსგავსოთ, მაგრამ მათ ვერ დაიმსგავსებთ, რადგან სიცოცხლე გუშინდელ დღეზე ვერ შეყოვნდება.

თქვენ მშვილდები ხართ, წინ ნატყორცნი ისრები კი შვილები არიან თქვენი.

მშვილდოსანი უსასრულობაშიც ხედავს მიზანს და თავისი ძალით გღუნავთ, რათა ისრები სწრაფად და შორს გასტყორცნოს.

დაე, ღუნს თქვენსას მშვილდოსნის ხელში, სიხარული მოჰქონდეს, რადგან მშვილდოსანს ერთნაირად უყვარს მშვილდიც და ისარიც, რომელიც ერთ ადგილას არ ჩერდება.



მაშინ მდიდარმა შესთხოვა:

– გვითხარი როგორ გავცეთ.

და მან მიუგო: – თქვენი ქონებიდან როცა რაიმეს გაიღებთ, თქვენ ძალზე მცირედს გასცემთ.

ჭეშმარიტად მხოლოდ მაშინ გასცემთ, როცა თქვენგან გაიღებთ, მაშ, რაღაა თქვენი ქონება თუ არა ყველა ის ნივთი, რასაც ხვალინდელი საჭიროებისთვის დარაჯობთ.

და ხვალ? ხვალინდელი რას მოუტანს ისეთ ძალს, რომელიც წმინდა ქალაქში მიმავალ მომლოცველებს დადევნებია და უდაბნოს ქვიშებში ძვალს მალავს.

რა არის საჭიროების წინაშე შიში, თუ არა თავად საჭიროება?

განა მაშინ, როცა ჭა პირამდეა სავსე წყურვილის შიში თავად წყურვილი არაა?

არიან ასეთებიც, რომლებიც ბევრიდან ცოტას გასცემენ და გასცემენ განდიდებისთვის. მათი მალული ზრახვაა ძღვენს რაც ხრწნის.

ისეთებიც არიან, იმ ყველაფერ მცირედს რომ გასცემენ რაც აბადიათ, მათ სიცოცხლის რწმენა აქვთ და ცხოვრების გულუხვობისა სჯერათ და მათი საუნჯე არ დაილევა.

არიან, ვინც სიხარულით გასცემენ და სიხარული მათი მათივე ჯილდოა.

ვინც ტკივილით გასცემს, ასეთებიც არიან და ტკივილი მათი ნათლობაა.

არიან გამლებნი, რომელიც ტკივილი არ იციან, რომელნიც სიხარულს არ ეძებენ და იმ იმედითაც არ გაიღებენ, რომ ჩაეთვლებათ. ისინი ისევე გასცემენ, როგორც მირტა აფრქვევს სურნელებას და მათი საქციელით უფალი გვესაუბრება და მათი თვალებით უღიმის იგი მინას.

კარგია მიცემა, თუ გთხოვენ, მაგრამ უკეთესია თხოვნის გარეშე გაცემა, როცა კი ხვდები წინასწარ.

გულუხვისათვის მიმღები კაცის ძებნა უფრო დიდი სიხარულია, ვიდრე თავად გაცემა.

განა რაიმე არსებობს რისი შენახვაც ღირს? ყველაფერი, რაც გაბადიათ ოდესმე გაიცემა.

ამიტომ გაეცით ახლა, რომ გაცემათა დრო თქვენ გერგოთ და არა თქვენს შთამომავალთ.

ხშირად ამბობთ: „გავცემდი, ბევრს გავცემდი, მაგრამ ღირსეული ადამიანისთვის“.

ხენი თქვენს ირგვლივ და ფარანი თქვენს საძოვრებზე ასე როდი ამბობენ, ისინი გაიღებენ

რათა იცოცხლონ, რადგან მალვა და შენახვა მათთვის სიკვდილია.

ჭეშმარიტად, ის, ვინც ღირსია თავისი დღენი და ლამენი მიიღოს თქვენგან, ყველაფერი დანარჩენის მიღების ღირსიცაა.

და ის, ვინაც სიცოცხლის ოკეანისგან ყლუპის შესმა დაიმსახურა, ღირსია თავისი სასმისი თქვენი ნაკადულით აივსოს.

თვით უდაბნო თუა იმაზე დიდი, რაც თქვენს სიმამაცესა და სიმტკიცეშია დავანებული, გინდ შემწყნარებლობით როცა ლებულობთ?

ვინ ხართ ასეთნი, რომ ადამიანები ქედს იხრიდნენ თქვენი სიამაყის წინაშე და გული გაიღელონ, რათა ღირსეულობა მათი შიშვლად იხილოთ და სიამაყე მათი დარცხვენისგან განთავისუფლდეს?

ჯერ თავს დააკვირდით, ღირსეულნი თუ ხართ, რათა გასცეთ ან აილოთ.

ჭეშმარიტად, მხოლოდ სიცოცხლე იძლევა ცხოვრებას, ხოლო თქვენ, თავს რომ გულუხვებად მიიჩნევთ, მოწმენი ხართ მხოლოდ.

თქვენ, ძღვენის მიმღებნი, ყველაფერს აკი მიირთმევთ, მადლიერებით თავს ნუ დაიმძიმებთ,

ნურც თქვენ დაიდგამთ უღელს და ნურც გამ-
ცემს გასტანჯავთ!

უკეთესია, მასთან ერთად ამაღლდეთ, დაე,
ძღვენი მისი თქვენი ფრთები იყოს.

ხოლო მოვალეობაზე უზომო ზრუნვა, მის
დიდსულოვნებაში დაეჭვებაა, ვისთვისაც დედა
გულუხვი მიწაა, მამა კი – ღმერთი.



შემდეგ მოხუცმა მიკიტანმა ჰკითხა:

– **ჭამა-სმაზეც** გვითხარი.

და მან თქვა:

– ეჰ, თქვენ რომ მიწის სურნელით დანაყრება შეგეძლოთ, როგორც მცენარენი, ჰაეროვნად ფესვ-გადგმულნი სხივებით ისულდგმულებდით, მაგრამ იძულებულნი რადგან ხართ ხოცვით გაძლეთ და ჩვილს დედის რძე აართვათ, რათა ნყურვილი მოიკლათ, დაე, საქციელი თქვენი იდუმალი იყოს.

დაე, სუფრა სამსხვერპლოდ გექცეთ, რაზეც ტყისა და ველის ბინადართ, უმანკოსა და წმინდას, მათზე უფრო დიდ სინმინდეს სწირავთ მსხვერპლად, რაც კაცშია.

როცა ნადირს განგმირავთ, თქვენს გულში ეუბნეთ მას: „ძალა, რომელმაც შენ მოგაკვდინა მეც მომაკვდენს და მეც მშთანთქავს, რამეთუ კანონი, ვინც შენი თავი გადმომცა უფრო დიადია. სისხლი შენი და სისხლი ჩემი მხოლოდ ცვარია ზეცაზე ადგმული ხისთვის ნაპკური“.

როცა კი ვაშლს ჩაკბერთ, თქვენს გულში ეუბნეთ: „თესლი შენი ჩემში ცოცხლობს, შენი გაისის კოკორი ჩემს გულში გაიფურჩქნება, სურნელი შენი

ჩემში იშვება სუნთქვად და ერთად ვიხარებთ
წელიწადის ყველა დროს“.

შემოდგომისას, ჭირნახულს რომ მოიწვევთ
და სანნახელში მტევნებს დააღვინებთ, გულში
იზრახეთ: „მეც ყურძნის მტევანი ვარ სანნახელში
ნაყეყი, ღვინო ახალი, ახალ ქვევრებში სამარა-
დისოდ შესანახი...“

და ზამთარში, ხაპით რომ მოსვამთ, ყოველი
ყლუპი შეიქვთ გულში.

დაე, სამახსოვროდ უგალობდეთ შემოდგომას,
რთველსა და სანნახელს: „მრავალჟამიერ გვიხა-
როდეს ერთად“.

დაე, საგალობელი შემოდგომის სამახსოვროდ
დაგრჩეთ. ემადლეთ ვენახსა და სანნახელთ.



მხენელმა ჰკითხა:

– **შრომაზე** რას გვეტყვი.

და მან პასუხად მიუგო: – თქვენ შრომობთ, რათა მიწას არ მოსწყდეთ და სამშენებელს მისას.

რადგან უსაქმურობა თქვენთვის წელიწადის დრონიგან განდგომას ნიშნავს, სიცოცხლეს ვერ იზეიმებთ, დიდებულებითა და მშვიდი სიამაყით, რომელიც უსასრულობისკენ აღლუმით მიემართება.

სტვირს ემსგავსებით, როცა კი შრომობთ, არსება მისი მოღუდუნე წამებს მუსიკად აქცევს.

რომელ თქვენგანს სურდა ლერწმად ყოფნა, მღუმარე და თვინიერი გამხდარიყო, როცა ყოველი შეხმატკბილებულია ირგვლივ.

მუდამ ამბობდნენ შრომა წყევლაა, საქმე კი – ტანჯვა.

გეტყვით: – თუ შრომობთ, დედამიწის ძველ ოცნებებს ასხამთ ხორცს, იმ დღიდან მოყოლებული, რაც თქვენთვის მომზადდა, როცა კი ოცნებაც იშვა.

და, ჭეშმარიტად, საქმით თქვენით გიყვარდეთ სიცოცხლე.

და საქმით თქვენით სიცოცხლის შეყვარება, ყოფიერების უდიდეს საიდუმლოსთან გაახლოვებით.

მაგრამ თუ თქვენი ტკივილით, დაბადებას რაცხთ უბედურებად და ხორცზე ზრუნვას წყევლად მიიჩნევთ შუბლზე რომ დაგედოთ, გიპასუხებთ: – ოფლის გარდა დაწერილს ვერაფერი ნაშლის.

ხშირად ამბობდნენ ცხოვრება წყვდიადიაო და თქვენც გადალლილნი იმეორებდით ნათქვამს.

გეტყვი: – სინამდვილეში ცხოვრება მართლაც რომ უკუნეთია, როცა მისწრაფებანი არ არსებობენ.

ბრმაა ყოველი სწრაფვა თუკი უვიცნი ხართ.

კოდნაც ამაოა თუკი არ შრომობთ.

შრომაც უნაყოფოა უსიყვარულოდ.

ხოლო საქმენი სიყვარულით ნამოქმედარი თავთან გაახლოვებით, ერთმანეთთან და ღმერთთან.

მაგრამ რაღაა საქმენი სიყვარულითა?

იგი სამოსელის ისეთი ძაფებით ქსოვაა, გულს რაც შებმია, თითქოს ამ შესამოსით შენი მიჯნური უნდა დამშვენდეს.

გულდასმით სახლის შენებას ჰგავს იგი, თითქოს მიჯნური შენი იქ უნდა დასახლდეს.

იგი, სათესებში გულისხმით თესვის მსგავსია და მოსავლის სინარულს იკრებს, თითქოს მიჯნურმა შენმა უნდა იგემოს.

ყოველივე რასაც იქმ, შენივე სულის ამოსუნთქვით უნდა გაჟღინთო და დალოცვილ წინაპართა მზერასაც ყოველთვის უნდა გრძნობდე.

ხშირად გამიგია როგორ ამბობდით თითქოსდა თვლემდით: ის, ვინც მარმარილოს აჩუქურთმებს და ქვაში მშენივეერების სახებას ამოკვეთს, მინის მხვნელზე კეთილშობილიაო.

და ის, ვინც ცისარტყელას იჭერს ტილოზე რომ კაცად განასახიეროს, ხამლის დამწვნილზე უპირატესიაო.

მაგრამ გეტყვით, არა ძილში ვარ, შუადღის ნათელში ვფხიზლობ და ქარიც მხცოვან მუხასთან ისევე ნაზად ღიღინებს, როგორც ბალახის ტანწერნეტა ღეროსთან.

და დიდიც ისაა, ვინც ქარის ქროლვას კეთილშობილ ხმოვანებად იღებს და სიყვარულით დაიმღერს მას.

შრომა ხილულად ქმნილი სიყვარულია.

თუ სიყვარულით არ საქმიანობთ ზიზლად გეჩვენებათ შრომა, სჯობს საქმეს თავი ანებოთ, ტაძრის წინ დასხდეთ და მოწყალება მათგან ითხოვოთ, ვინც სიხარულით მუშაობს.

თუ პურს გულგრილად აცხობთ, იგი მწარეა და სანახევროდ დაგაპურებთ.

თუ ღვინოს უდიერად სწურავთ, იგი ინამლება.

თუ თვით ანგელოზივითაც კი მღერით, მაგრამ სიმღერა არ გიყვართ, კაცი დღისა და ღამის ხმას ვერ მოისმენს.



მერე კი ქალმა სთხოვა:

– **სიხარული და წუხილიც** გაგვანდე.

და უპასუხა მან:

– თქვენი სიხარული თქვენივე დარდია შეუნიღბავი ჭა, საიდანაც თქვენი სიცილი მოისმოდა, ხშირად ყოფილა ცრემლებით სავსე.

განა სხვაგვარად ხდება?

ნალველი თქვენში რაც უფრო ღრმავდება, თქვენი შინაარსიც მეტ სიხარულს იტევს.

სასმისი თქვენი ღვინისა განა ლუმელში არ გამომწვარა?

განა ქნარი, ბგერით რომ გესალბუნებათ ხიდან დანით არ გამოჭრილა?

როცა გიხარიათ, გულში ჩაიხედეთ და მიხედებით, რომ იმაზე ხარობთ, რაზეც დარდობდით ადრე.

როცა ნალვლობთ, ისევ გულს უცქირეთ და ნახავთ, რომ ჭეშმარიტად იმაზე ტირით, რაც ადრე გახარებდათ.

ზოგი თქვენგანი ამბობს: სიხარული ნალველზე ძლიერიაო. ზოგი კი არა, ნალველი სჯობნისო. გეტყვით: – ისინი არ განიყოფიან. ერთად გსტუმრობენ და ერთი მათგანი თუ სუფრას თქვენთან

ერთად შემოუჯდა, გახსოვდეთ, მეორე თქვენს
სარეცელზე თვლემს.

ჭეშმარიტად, როგორც სასწორი ისე ხართ,
თქვენივე სიხარულსა და ნაღველს შორის მერ-
ყეობთ.

მხოლოდ მაშინ, როცა ცარიელნი ხართ,
სიმშვიდეში წონასწორდებით.

საგანძურის მეუფე თქვენი ოქროსა და ვერ-
ცხლის ასანონად როცა მოგიხმობთ, სიხარული
და წუხილიც უთუოდ აინონადაინონება.



მაშინ ქვის მთლელი გადმოდგა წინ და თქვა:

– აბა **სახლებზეც** რამე თქვი.

მან უპასუხა:

– სანამ ქალაქში რამეს ააშენებთ, ჯერ უდაბურ ალაგზე თქვენი წარმოსახვით ააგეთ სახლი.

რამეთუ საკუთარი მწუხრისას როგორც შინ ბრუნდებით, თქვენშიც ბრუნდება შორეთის მგზავრი, მარტოსული.

სახლი თქვენი, თქვენივე დიდი სხეულია.

ის მზის ქვეშ სახლობს, ღამის ღუმელში სძინავს და სიზმრებსაც ხედავს.

განა თქვენს სახლს არ სძინავს და ქალაქიდან სიზმრად არ მიშენდება? ჭალებსა და გორაკებზე არ მოგზაურობს?

ეჰ, ჩემს პეშეში თქვენი სამკვიდრებლის დატევა რომ შემეძლოს და ტყეებსა და მინდვრებზე მთესველივით მოჰნევა!..

ეჰ, ველნი რომ თქვენი ქუჩანი ყოფილიყვნენ, მწვანე ბილიკნი კი ხეივანნი, ერთმანეთი ვენახებში გეძებნათ და უკან, მიწის სუნებით ამოკემსილ ტანისამოსში დაბრუნებულიყავით.

მაგრამ ამის უამი ჯერ არ დამდგარა.

მამათმთავრებმა შიშით თავისით, ერთურთთან ძალზე ახლოს მოგიყარათ თავი და შიში ესე, ჩქარა არ გაქარწყლდება. ქალაქის კედლები ასე ჩქარა ოჯახის კერასა და ჭალებს თქვენსას ვერ გამიფნავენ.

მითხარით ხალხო ორფალესისა, ასეთი რა გაქვთ მაგ თქვენს სახლებში, რასაც ჩარაზულ კარს მიღმა ინახავთ?

გაქვთ სიმშვიდე? წრფელი მისწრაფება, თქვენი სიძლიერის ნიშანი?

გაქვთ მოგონებები? ხის ან ქვის ქმნილებანი, წმინდა მთისაკენ გული რასაც ჭვრეტს?

მითხარით ესე ყოველივე სახლებში თუ გაქვთ?

თუ მხოლოდ სიმყუდროვეს ეპატრონებით ან სიმყუდროვის მოთხოვნილებას, იმ, თავად იდუმალს, ჩუმად რომ მოგიბრძანდებათ სტუმრად, ჯერ მასპინძლად დაგეყუდებათ, შემდგომ კი მეუფედ?

იგი გათვინიერებთ, ჰო, კავითა და შოლტით თქვენს ნაფიცხალ სურვილებს სათამაშოებად მოგიჩენთ.

თუმცა ხელით ფაქიზია ვით აბრეშუმი, გული აქვს რკინის.

და იავნანას იმიტომ გიმღერთ, რომ სარეცელთან წამოგადგეთ და მასხრად ააგდოს სხეული თქვენი.

ის თქვენს სისადავეს დასცინის და უნატიფესი ჭურჭელივით დამბალ ფოთლებში ფუთავს.

ჭემმარიტად, მყუდროებისკენ ლტოლვა სიცოცხლის ვნებას სპობს და დამკრძალავთა სვლაში დაღრეჯილი მიაბიჯებს.

მაგრამ თქვენ სივრცეთა ძენი ხართ და სიმყუდროვეშიც ფორიაქობთ, ხაფანგში მაინც ვერავინ მოგიხელთებთ.

დაე, სახლი თქვენი იალქანი იყოს და არა ღუზა.

არა ჭრილობაზე სადები საფენი იყოს, არამედ თვალთა მცველი ქუთუთო.

ფრთებს არ აკეცავთ, რათა კარში გახვიდეთ, თავს ძირს არ დახრით, რათა ნივინეს მიატყყათ შუბლი და დაშინებულნი სუნთქვასაც არ შეიკავებთ, როცა კედლები შეირყევა და დაემხოზა.

თქვენ სამარხებში როდი იცხოვრებთ, მკვდრებმა ცოცხლებს რომ ჩაუშენეს და მედიდურადაც აზიდული არ უნდა იყოს საცხოვრებელი თქვენი, საიდუმლოს მაინც ვერ დამალავს და ვერც თქვენს ჟინს დააოკებს.

რადგან რაც უკიდევანოა თქვენში, ზეციერ
საფანეშია ამყარებული, რომელთა კარიბჭე ცისკრის
ნისლეულია, სარკმელნი კი – ღამის სიმღერანი
და სიჩუმე თვისი.



და მესოველმა სთხოვა:

– **ტანისამოსზე** გვითხარი.

მან უპასუხა:

– ტანისამოსი მეტწილ სილამაზეს გიფარავთ, მაგრამ სიმახინჯეს ვერ მალავს. თქვენ ტანსაცმელში გინდათ ლაღად განმარტოვდეთ, მაგრამ ბორკილით იბოჭებით და აღვირამოდებულნი რჩებით.

მზისა და ქარისთვის ნეტავ თქვენი კანის მიქცევა შეგეძლოთ, მაგრამ არა ტანსაცმლის.

რამეთუ სიცოცხლის სუნთქვა მზის სინათლეშია, ხელი – სიცოცხლის ქარში.

თქვენს შორის ვიღაცა იტყვის: „ეს ჩრდილოეთის ქარმა შეგვიკერა ტანისამოსი, რასაც ვატარებთ“.

გეტყვით: – ჰო, ის ჩრდილოეთის ქარი იყო.

მაგრამ სირცხვილი საფეიქრო დაზგა იყო მისი და ღუნე კუნთები – ძაფნი.

საქმის გასრულებისას ტყეში ხითხითებდა ის.

არ დაივინყოთ, თავმდაბლობა ავი თვალის საფარია.

როცა მანკიერება ქრება, რად იქცევა თავ-
მდაბლობა თუ არა ხუნდად გონებისა დაბინ-
ძურებულია.

არ დაივინყოთ დედამინას თქვენი შიშველი
ტერფის შეხება სიამოვნებს და ქარნი თქვენს
თმებთან თამაშს ელტვიან.



მოვაჭრემ უთხრა:

– **ყიდვა-გაყიდვაზეც** თქვი.

და საპასუხოდ მან მიუგო: – მინა თავის ნობათს იძლევა. თუკი ის გეცოდინებათ მუჭები როგორ შეივსოთ, გაჭირვებას არ იგემებთ.

მინის ძღვენთ გადაცვლით, სიმდიდრესა და კმაყოფილებას მიიღებთ.

მაგრამ თუ ცვლაში სიყვარული და სათნო სამართლიანობა არ იქნება, ზოგი ანგარებამდე მივა, ზოგი – შიმშილამდე.

მეზღვაურნო, მხვნელნო და მთესველნო, მევენახენო, ბაზრის მოედანზე შეხვდით მქსოველებსა და მექოთნეებს, შეხვდით სანელებლების შემგროვებელთ და მაშინლა მოუხმეთ სულს, მინის მეუფეს, რომ თქვენს შორის დადგეს იგი და დალოცოს სარწყაული თქვენი, რითაც სიმდიდრეებს ახარისხებთ.

გაცვლა-გამოცვლისას კაცნი არ მოუშვათ შიშველი ხელით, ვინც თქვენი შრომის საფასურს ლაყბობით იხდის.

მოლაყბებს უთხარით: – ან ჩვენთან ერთად წამოდით მინდვრად, ან ზღვაში გაჰყევით ძმებს ჩვენსას და თქვენც ისროლეთ ბადეები, გვერ-

წმუნეთ, მინა და ზღვა თქვენთვისაც გულუხვი იქნება.

და თუ მესიტყვენი მოვლენ, მოცეკვავენი, მომღერალნი და მესტვირენი, იყიდეთ მათგან, რადგან ისინიც მინის ნაყოფისა და ნელსურნელების შემგროვებლები არიან. მართალია, რაც მათ მოაქვთ სიზმრებითაა ნაქსოვი, მაგრამ იგია თქვენი სამშვიინველის შესამოსელი და შესარგები.

და ვიდრე ბაზრის მოედანს დატოვებთ, და-რწმუნდით, რომ ხელცარიელნი იქიდან არავინ ნავიდეს.

რადგან სული, მეუფე მინისა ქარქვეშ მშვიდად ვერ დაიძინებს, სანამ კი თქვენს შორის ყველაზე მცირედის საჭირველი არ დაკმაყოფილდება.



მერე ქალაქის მოსამართლე გამოვიდა და თქვა:

– **დანაშაულსა და სასჯელზე** გვიაგებე.

და მან უპასუხა:

– მაშინ, როცა სული თქვენი ქარზე ქროლვით მოგზაურობს, მარტონი ხართ და დაუცველნი, სხვებისათვის სჩადიხართ სიბოროტეს ანუ თავს ავნებთ.

მადლმოსილის კარზე ამიტომ აკაკუნებთ და შეუმჩნეველად რჩენილნი ელთ.

ოკეანის მსგავსია თქვენი ღვთაებრივი არსობა.

ის ყოველთვის შეულახავი რჩება.

და ვით ეთეროვნება ისე აზიდავს დაფრთიანებულთ.

თვით მზეს ემგვანება თქვენი ღვთაებრივი არსობა.

მან თხუნელის სორონი არ იცის და არც ასპიტის ხვრელებს ეძიებს, მაგრამ არა მხოლოდ ღვთაებრივი არსობით ჯერდება თქვენი ბუნება, თქვენში ჯერ ბევრი კაცისაა და ბევრი კიდევ არაა ადამიანის, უმნო ჯუჯაა თქვენში მთვლე-

მარე, ბურუსში ვინც გამოღვიძების საპოვნელად დანანნალებს.

ადამიანზე თქვენში, ამაზე მინდა გითხრათ.

რადგან მან და არა ღვთაებრივმა არსობამ ან ბურუსში მონანნალე ჯუჯამ განაპირობა დანაშაული და სასჯელი.

ხშირად გამიგია როგორ იტყოდით მასზე, ვინც სიბოროტეს სჩადის, თითქოს ის ერთ-ერთი თქვენგანი არაა, ვილაც უცხო სტუმარია თქვენს სამყაროში დაუპატიჟებელი.

მაგრამ გეტყვით: – როგორც ნმინდანნი და მართალნი უზენაესზე მეტად ვერ ამაღლდებიან, რომელიც ყოველ თქვენგანშია, ისე ავბედითი ალქაჯნი ვერ დაეცემიან იმაზე დაბლა, ზნედაცემული რაცაა თქვენში განრთხმული.

და როგორც მთლიანად, ხის მღუმარე თანხმობის გარეშე, ვერც ერთი ფოთოლი გაყვითლდება თავისით, ასევე ავის ჩამდენი ვერ ჩაიდენს სიბოროტეს უკლებლივ ყველა თქვენგანის ფარული ნების გარეშე.

ერთად მიდიხართ ერთნაბიჯ თქვენი ღვთაებრივი არსობისკენ.

თქვენ გზა ხართ და მგზავრნიც მასზე.

და როცა ვინმე ეცემა, ის უკანმომავალთათვის ეცემა დაბრკოლების ლოდზე რომ მიანიშნოს. ის წინმიმავალთა გამოც ეცემა მენინავედ რომ მიაბიჯებენ, ჩქარა და გამართულად, მაგრამ ლოდი გზიდან არ მოაშორეს.

და აი, კიდევ რას გეტყვით, თუმცა სიტყვა ესე, მძიმე ტვირთად დაგანვებათ გულზე: – მოკლული თავისი მკვლელის თანაზიარია და გაძარცვულიც დამნაშავეა, რათა გაძარცვეს.

უბინო, ბინიერის საქციელში არაა უდანაშაულო.

და ყველა ცოდვას განშორებული წმინდანი, ავსულის ნაცოდვარშიც არაა უმანკო.

ჰო, დამნაშავე ხშირად დაზარალებულის მსხვერპლი ხდება.

და მსჯავრდებული, უფრო ხშირად უდანაშაულოთა და პატიოსანთა გამო აგებს პასუხს.

თქვენ არ ძალგიძთ განსაზღვროთ ვინაა სამართლიანი ან უსამართლო და ღვთისმოსავი უღმრთოსაგან გამიჯნოთ, რადგან მზის პირისახის წინა ერთად დგანან ისინი, როგორც შავი და თეთრი ძაფია ერთად გადაფსკენილი.

და როცა შავი ძაფი წყდება, მესოველი მთლიანად ნაქსოვს აკვირდება და ფეიქრის დაზგასაც ამონებს.

და თუ სასამართლოზე, ვინმე მოლაღატე ცოლს ამხელს, დაე, იმავე სასწორით მისი ქმრის გული აწონოს და სანყაულით სამშვინველი არწყას მისი.

და ის, ვინც გადანყვეტს მჩაგვრელს დაარტყას, ჯერ ჩაგრულის სულს დასწვდეს.

და თუ ვინმე თქვენგანი დასჯას სამართლის სახელით მოინდომებს და ამხმარ ხეს მოუქნევს ცულს, დაე, ჯერ მის ფესვებს ჩახედოს.

ჭეშმარიტად, იგი ცუდ და კარგ ფესვებს იპოვნის, ნაყოფიერს და უნაყოფოს, დედამინის მდუმარე გულში ერთი ფსკვნილით ჩახვეულს.

და თქვენც მსაჯულნო, სამართლიანად რომ გამოიყურებით, მათ რა განაჩენს გამოუტანთ, ვინც ხორციტაა მართალი, მაგრამ ქურდია სულით?

როგორ დასჯით იმას, ვინც ხორცს მოაკვდენს, მაგრამ თვითონაა სულით მკვდარი.

როგორ შეგიძლიათ ბრალი მას დასდოთ, ვინც რიოზად იქცევა და მდევენელია, როცა თვითონაა ღირსებაშელახული და დევნილი?

როგორ დასჯით მათ, ვინც იმდენი მოინანია რამდენიც არ შეუცოდია?

ნუთუ მონანიება მართლმსაჯულება არაა? იგივე კანონით დადგენილი, რასაც სინარულით დაემორჩილებოდით?

მაგრამ უდანაშაულოს სინანულს ვერ ჩააგონებთ და ვერც დამნაშავის გულს გაათავისუფლებთ მონანიებისგან.

მოუხმობელი ღამით იხმობს, რათა ადამიანებმა გამოიღვიძონ და თავი შეიცნონ.

გაიგოთ გინდათ რა არის მართლმსაჯულება. მაგრამ როგორ? თუ ყველა საქმენი თქვენნი დღის შუქზე არ გაიტანეთ.

მაშინ კი შეიტყობთ, რომ დაცემულიც და ამაღლებული ერთი კაცია, თავის ჯუჯა არსის ღამეთა და თავის დღეთა ღვთაებრივი არსობის შუაბინდებში მოარული.

და რომ ტაძრის დიდი ქვაკუთხედი, საძირკველში ჩაყოლებულ უმცირეს ქვაზე უმაღლესი არაა.



შემდეგ მეკანონემ ჰკითხა:

– მოძღვარო, ჩვენს **კანონებზე** რას გვეტყვი?

და მან მიუგო:

– თქვენ გულმოდგინედ აწესებთ კანონებს და მეტი გულმოდგინებით არღვევთ მათ. ოკეანის სანაპიროზე მოთამაშე ბალეზივით ხართ, ქვიშის კოშკების აგება რომ უყვართ და მერე სიცილ-თამაშით ნგრევა მათი.

მაგრამ, სანამ თქვენ ქვიშისაგან კოშკებს აგებთ, ოკეანე ისევ მოაქცევს ქვიშას.

და როცა მათ ანგრევთ, ოკეანეც თქვენთან ერთად ლაღობს.

ჭეშმარიტად, ყოველთვის უმნიკვლოთა ერთად ლაღობს ოკეანე.

მაგრამ მათზე რაღა ვთქვათ, ვისთვისაც სანუ-თრო ოკეანე არაა და არც კანონია კაცის მიერ შეთხზული ქვიშის კოშკი.

ვისთვისაც ცხოვრება კლდეა, ხოლო კანონი საჭრისი, ხატად თავისად მას, რითიც მოიხრებენ, რა ვუთხრათ მათ?

ხარზე რაღა ვთქვათ, უღელი რომ შეჰყვარებია, ხოლო უღრანის დომბასა და ირემს უბინადრო მონანაღლედ თვლის?

ბებერ ასპიტზე რაღა ვთქვათ პერანგს რომ ველარ იცვლის და ყველა დანარჩენს ტიტლიკანა უსირცხვილოებად რაცხს?

ან მასზე, ვინც საქორნილო სუფრას ადრინად მიუჯდება და მადიანად გამძლარი მალევე მიდის და გზად ამოთქვამს, რომ ყველა წვეულება სისაზიზღრეა და ყველა წვეული კანონის დამრღვევი?

ან მათზე რაღა ვთქვათ, ვინც მზის სხივებზე დადგანან, მაგრამ მზისკენ ზურგით?

ისინი თავიანთ ჩრდილებს ხედავენ ცხვირნინ და ამ ჩრდილებს მიიჩნევენ კანონად.

მზე რაღაა მათთვის, თუ არა ჩრდილთამშთანთავი?

და კანონის ცნობა რაღაა თუ არა მინაზე პირქვევართხმული ჩრდილების კანონა?

მაგრამ თქვენ, ვინც მზეს სახით ეგებებით, რომელი ნაკანონები ალგიდგებიან წინ?

თქვენ, ქარის თანამოგზაურნო, რომელი აფქიონი განიშნებთ გეზს?

რომელი ადამიანური კანონი შეგბოჭავთ? თუ უღელს ჩამოიხსნით, მაგრამ არა სატუსალოს კართან?

თუ იცეკვებთ და კაცის ხელბორკილებს არ შეეხლებით, რომელ კანონთა შიში გექნებათ?

და სამსჯავროზე ვინ მიგაყენებთ თუ გახდით ტანისამოსს კაცის გზაზე არ დააგდებთ?

ხალხო ორფალესისა, შენ დოლის დაჩუმებაც შეგიძლია და ქნარის დადუნებაც, მაგრამ იადონს ვინ აუკრძალავს გალობას?



და მჭევრმეტყველმა უთხრა:

– **თავისუფლება** გვიმხილე.

უპასუხა:

– ქალაქის კარიბჭესთან და თქვენი ოჯახის კერებთანაც მინახიხართ თავისუფლებას როგორ ეთაყვანებით, ასე მონებიც თავს იმცირებენ მტარვალის წინაშე დამხობილნი რომ ქებით აქებენ მას, სიკვდილისთვის მის მიერვე განწირულნი.

ასეა, ტაძრის ნალკოტში და ციხე-კოშკის ჩრდილებშიც მინახავს თქვენგან ყველაზე თავისუფალნი, უღელ-ბორკილივით რომ დაატარებენ საკუთარ თავისუფლებას!

და გული მიკვდება, რადგან თქვენ თავისუფალნი მხოლოდ მაშინ გახდებით, როცა თვით თავისუფლების ძიების სურვილი ლაგამად ამოგედებათ და თავისუფლებაზე, როგორც უკვე მიღწეულსა და განცდილზე ფუჭად ლაყბობას შეწყვეტთ.

მართლა თავისუფალნი მაშინ კი არ შეიქმნებით, თქვენი სანუთრო რომ უზრუნველი იქნება, მწუხარება და განსაცდელჩამოშორებული, არამედ მაშინ, როცა თქვენი ცხოვრება ამით იქნება სავსე. თქვენ კი, ამაღლდებით მასზე ყველა ბორკილით დაშიშვლებული.

და დღესა და ღამეზე როგორ ადიდდებით თუ ჯაჭვს არ გაარღვევთ, სანუთროს შუაგული თქვენი, შემეცნების პირველივე გაცისკრებისას რითაც შეიკარით?

ჭეშმარიტად, რასაც თავისუფლებას არქმევთ, ამ ჯაჭვთაგან ყველაზე გამძლეა და ყოველი კვანძი მისი მზეზე ბრწყინავს და გაბრმავებთ.

გასათავისუფლებლად თქვენ რა გსურთ განიდოთ, თუ არა თქვენივე თავის ყოველი ასო?

ეს თუ არასამართლიანი კანონია, რასაც ახლავე შეცვლიდით, მაშ თქვენს შუბლზე თქვენივე ხელით რატომაა ნაწერი?

მას ვერ ნაიშლით, გინდ ცეცხლს მიეცით კანონთა წიგნნი, მას თქვენ ვერც მსაჯულთა შუბლიდან ჩამონმენდთ, გინდ სახეზე მთელი ზღვა მიარეცხოთ.

და თუ ტახტიდან მტარვალის ჩამოგდება განიზრახეთ, ჯერ შეხედეთ, თქვენში აღმართული მისი ტახტი თუ დაინგრა.

რადგან თავისუფალსა და ამაყზე მტარვალი როგორ იბატონებს თუ მათ თავისუფლებაში კირთი არაა და სიამაყეში სირცხვილი?

თუ ამას მზრუნველობად მიიჩნევთ, რისგანაც თავის დაღწევას ღამობთ, მაშინ ასეთი მზრუნ-

ველობა თქვენ მიერ უფროა არჩეული, ვიდრე თავსმოხვეული.

და თუ იგი შიშია, რასაც მოიშორებდით, მისი მიზეზი თქვენს გულში უნდა ეძებოთ და არა შემშინებლის ხელებში.

მართლაცდა, ყველაფერი რაც თქვენშია, მუდმივად ნახევრადჩახუტებული მოძრაობს, სანატრელი და საშინელი, სანუკვარი და საზიზლარი, რასაც ეძიებთ და რასაც გაექცეოდით.

ეს ყოველივე თქვენში ბორგავს, ვით შუქი და ჩრდილი დაწყვილებული.

და როცა ჩრდილი მკრთალდება და ბოლოს ქრება, მბუუტავი შუქი სხვა შუქისთვის ჩრდილდება.

თქვენი თავისუფლებაც ასეა, ბორკილების დაკარგვით იგი უფრო დიდი თავისუფლებისთვის გარდაიქმნება ბორკილად.



ქურუმი ხელახლა ალაპარაკდა და სთხოვა:
– გონიერებასა და ვნებაზე გვითხარი.

და მან უპასუხა:

– ხშირად სამშვინველი თქვენი ის ბრძოლის ველია, სადაც ჭკუას და გონიერებას, ვნებებთან და მიდრეკილებებთან გაუმართავთ ომი.

ნეტავ კი მშვიდობისმყოფადი ვიყო თქვენდა სამშვინველად, ნეტავ კი შემედლოს თქვენ ასოთა მეტოქეობის კეთილხმოვანებად გადაქცევა.

მაგრამ როგორ შევძლო, თუ მშვიდობის-მყოფელნი თქვენ არ გახდებით, ყოველ თქვენს ნაწილას თუ არ შეიყვარებთ?

გონიერება თქვენი და ვნებანი, ზღვევზე მოცუ-რავე თქვენი სამშვინველის საჭე და აფრებია.

თუ აფრები დაფხრენილი გაქვთ ან საჭეა გამტყდარი, მხოლოდ ტალღებს შეგიძლიათ დაჰყვეთ და დინებას გაჰყვეთ, ან მშვიდ ზღვაში გაუნძრევლად იტივტივოთ.

რამეთუ მარტოდ მმართველი გონიერება, ძალაუფლებაშეზღუდულია, მხოლოდ ვნება კი ხანძარია თავის შთანთქმელი.

დაე, ამიტომ სამშვინველმა თქვენმა, ჭკუა-გონება ვნებათა მწვერვალებზე აზიდოს, რათა

ამღერება შესძლოს და დაე, მან მართოს ვნება გონივრულად, ვნებამ რომ იცოცხლოს მკვდრებით აღმდგარმა და ფენიქსის დარად ფერფლიდან აღმოცენდეს.

ვინატრებდი, რომ გონსა და გატაცებებს, თქვენს სახლში ორ ძვირფას სტუმრად მიიჩნევდეთ. ერთ მათგანს ხომ არ სცემთ უფრო დიდ პატივს ვიდრე მეორეს, რადგან ერთს ვინც მასპინძლობს, ის ორთავეს ნდობასა და სიყვარულს კარგავს.

როცა ბორცვზე ალვის დაფერფლილ ჩრდილებსა და სივრილეში, მშვიდად სხედხართ და უკიდევანო მინდვრებსა და ჭალებს გასცქერით, დაე, იმ სიჩუმეში თქვენმა გულმა წაილიღინოს: „ღმერთი გონიერებაში ივანებს“.

და როცა ქარიშხალი ატყდება და ქარბუქი ტყეებს აწუნავს, ხოლო სიდიადეს ზეცისას ელვა და ჭექა-ქუხილი ბრძანებს, დაე, თქვენმა გულმა ძრწოლვით ამოთქვას: „ღმერთი ვნებისკენ იღვწის“.

და რადგან ღვთის საუფლოში სუნთქვანი ხართ და ღვთაებრივ ტყეთა ფოთოლნი, თქვენც გონიერებაში ხართ დავანებულნი და ვნებისკენ მიემართებით.



შემდეგ ქალმა შესთხოვა:

– **ტკივილის** შესახებ გვითხარი.

და მან თქვა: – თქვენი ტკივილი იმ ნიჟარის მტვრევაა, შესმენის ნიჟს რომ ითვისებს.

რომ მარცვალის შუა უნდა გაიპოს, რათა მზეს გული აჩვენოს, ასე თქვენც უნდა განიცადოთ ტკივილი.

თქვენი გული, ცხოვრებისეული სასწაულების ყოველდღიური გაკვირვებით რომ არ იღლებოდეს, ტკივილი უფრო საკვირველი მოგეჩვენებოდათ, ვიდრე სიხარული.

და წელიწადის დროს თქვენი გულისა, ისევე მიიღებდით, როგორც ყოველთვის ლებულობდით დროს წელიწადისას თქვენთა ჭალებზე წარმავალთ.

და მწუხარებათა ზამთრებს თქვენსას მშვიდად განჭვრეტდით.

ბევრი რამ თქვენი ტკივილისა, თქვენ მიერვეა არჩეული.

იგი ბანგია მწარე, თქვენს ავადურ არსობას მკურნალი რითაც განკურნავს.

ამიტომ ენდეთ მკურნალს და იგემეთ წამალი სიმშვიდესა და მდუმარებაში, რადგან მის მტკი-

ცე და მძიმე ხელს, განუჭვრეტელის მზრუნველი ხელი მიმართვს.

თუმცა სასმისი, რასაც ის განვდით ბაგეებს გითუთქავთ, იგი იმ თიხისაა, მექოთნემ რომ თავისი წმინდა ცრემლებით განამა.



და სთხოვა კაცმა:

– **თვითშემეცნება** გვასწავლე.

და მან მიუგო:

– მდუმარებაში თქვენი გულები დღეთა და ღამეთა საიდუმლოებას იგებენ. მაგრამ ყურთა თქვენთა გულისხმის სმენა სწყურიათ.

გინდათ სიტყვებით შეიცნოთ ის, რაც ფიქრით იცოდით ყოველთვის.

გინდათ თითები ახლოთ თქვენი სიზმრების შიშველ სხეულებს.

მშვენიერია.

უნდა გადმოიღვაროს თქვენი სამშვიინველის წყარო მალული და რაკრაკით მიედინოს ზღვას.

და მაშინ საკუთარი, უკიდევანო სიღრმეთა განძი თვალთა თქვენთა გაგემხილებათ.

მაგრამ ნუ ელტვით არნახული განძეულის საწყაულით არწყვას.

ნურც თქვენი ცოდნის სიღრმეებს გაზომავთ არგანითა და საძირავით.

რადგან არსობა თქვენი ზღვაა უსაზღვრო და უღლევი.

ნუ იტყვით: „მე მთელი ჭეშმარიტება აღ-
მოვაჩინე“, უკეთესია თქვათ: „მე ჭეშმარიტება
აღმოვაჩინე“.

ნუ იტყვით: „მე სამშენველის გზა ვიპოვნე“,
უმჯობესია თქვათ: „მე ჩემს გზაზე მიმავალი სა-
მშენველი შემხვდა“.

რადგან სამშენველი ყველა გზით დადის.

სამშენველი მხოლოდ ერთი გზით არ დადის
და არც ლერწამივით იზრდება.

სამშენველი იხსნება და მშვენდება, როგორც
ლოტოსის ყვავილი იფურჩქნება უთვალავი თავისი
ფოთლით.



მაშინ მასწავლებელმა თქვა:

– გვითხარი **სწავლებაზე**.

და თქვა მანაც:

– ვერც ერთი კაცი გაგიმხელთ იმას, რაც უკვე დაფლული თქვენი შემეცნების გარიჟრაჟზე თვლემს.

მოძღვარი, ვინც მონაფეების გარემოცვაში ტაძრის ჩრდილში დაიარება, არა თავისი სიბრძნით გასცემს, არამედ მონყალებისა თავისი რწმენით.

თუ ის ჭეშმარიტად ბრძენია, თავისი სიბრძნის საუფლოში კი არ მიგაბრძანებთ, ის თქვენივე გონების ზღურბლთან მიგიყვანთ.

ვარსკვლავთმრიცხველი სივრცის თავისებურ ხედვაზე გესაუბრებათ, მაგრამ ამ ცოდნას არ გინილადებთ.

მუსიკოსს შეუძლია რითმი გადმოგცეთ, რითიც მთელი სამყაროა გაჟღერებული, მაგრამ სმენას ვერ გადმოგცემთ, რითმს რაც ჩაიჭერს და ვერც ხმას, ექოდ რაც უბრუნდება.

და რიცხვთა მეცნიერებაში ხელდასხმული საზომსა და სანყაულზე კი იტყვის, მაგრამ თქვენ ვერ შეგიძლევბათ იქ.

რადგან ერთი კაცის ხილვები მეორეს ვერ აფრთიანებს.

და რადგან ყოველი თქვენგანი ღვთის შემეცნებაში მარტოა, ასევე სათითაოდ მარტონი უნდა იყოს ღვთის თქვენეული შეცნობით და დედამინის თქვენეული ნვდომით.



და ყმანვილმა სთხოვა:

– მეგობრობაზე გვიამბე.

და მან პასუხად:

– შენი მეგობარი შენივე ხორცშესხმული მისწრაფებანია. ის მინდორია შენი, სიყვარულით რომელსაც თესავ და რომლიდანაც მადლიერების სიტყვებით აკრეფ მოსავალს.

ის სუფრაა შენი და კერა.

რადგან მასთან მოდიხარ დამშეული და მასთან ეძიებ სიმშვიდეს.

როცა მეგობარი გულს გადაგიშლის, არ შეგეშინდეს შენთვის თქვა: – „არა“ და ნურც „ჰო“-ს დამალავ.

და როცა ის დუმს, დაე, გული შენი მისი გულის სმენას განაგრძობდეს.

რადგან ყველა ფიქრი, ყველა ნატვრა, ყველა იმედი მეგობრობაში იბადება და მდუმარე სინა-რულში გაზიარდება უსიტყვოდ.

როცა მეგობარს განემორები არ იდარდო.

რადგან ის, რაც მასში ყველაზე მეტად გიყვარს, მის არყოფნაში უფრო გაცხადდება, მთასაც ხომ მთამსვლელი დაბლობიდან უკეთ ხედავს.

დაე, მეგობრობაში სხვა არა იყოს მიზანი თუ არა სულის სიღრმეთა ნვდომა.

რადგან სიყვარული, რომელიც საკუთარი იდუმალების გარდა კიდევ რაიმე სხვას ეძებს, სიყვარული არაა, იგი უფრო ბადეა გაშლილი, რაშიც მხოლოდ უსარგებლო ებმის.

დაე, საუკეთესო შენში, შენი მეგობრისთვის იყოს.

და თუ მას ნილად შენს ზღვათა მოქცევის შეცნობა ერგო, დაე, მან მისი მიქცევაც შეიცნოს.

რას გარგებს მეგობარი თუ მას დროის მოსაკლავად ეძებ?

ყოველთვის ეძიე იგი, რათა დრო განიცხოვრო.

რადგან იგი შენი ნატვრების ასასრულებლად დაა მონოდებული და არა შენი სიცარიელის შესავსებად.

დაე, სიცილი და ურთიერთტროფობა გაჰყვეს მეგობრობის სიტკბოებას.

რადგან წინწკალ ცვარში, თავის დილას შეეგებება გული და გამოცოცხლდება.



შემდეგ თქვა სწავლულმა:

– გვითხარი **მეტყველების** შესახებ.

და მან საპასუხოდ მიუგო: – თქვენ მაშინ მეტყველებთ, როცა თქვენივე ფიქრებს ემიჯნებით.

და როცა თქვენი გულის სიმარტოვეში ველარ ბინადრობთ, ბაგეზე გადაგისახლდებათ ბგერა.

ბევრ თქვენს სიტყვაში ხშირად ფიქრი სანახევროდაა მოკვდინებული.

რადგან ფიქრი ჩიტია სივრცეში, რომელიც სიტყვათა გალიაში ფრთებს კი შეარხევს, მაგრამ ვერ აფრინდება.

თქვენს შორის ისეთები არიან, სიმარტოვის შიშით ვინც მრავალმეტყველს ეძიებენ.

ასეთებს, მარტოობის მდუმარებაში მათი შიშველი არსობა წარმოუდგება თვალწინ და ისინი გარბიან.

არიან ასეთები, საუბრისას უნებლიედ ჭეშმარიტებას რომ აღმოაჩენენ, თვითონაც რომ არ ესმით ისე.

არიან ისეთები, ჭეშმარიტებას თავის თავში რომ ინახავენ, მაგრამ სიტყვებით არასდროს გაამჟღავნებენ.

მათნაირ გულებში, სული დადინჯებულ მდუ-
მარებაში ცხოვრობს.

თქვენს მეგობარს სადაც არ უნდა შეხვდეთ,
გზის განაპირას თუ ბაზრის მოედანზე, დაე,
ბაგეებს სული გიმოძრავებდეთ და ენას გიმარ-
თავდეთ.

დაე, ხმოვანება თქვენი ხმისა მის ყურთას-
მენას მისწვდეს.

რადგან სამშვინველი მისი, თქვენი გულის
ჭეშმარიტებას ისევე შეინახავს, ღვინის გემო
როგორც მოაგონდება.

როცა ფერი დავინყებულა და აღარაა სას-
მისი.



და ვარსკვლავთმრიცხველმა თქვა:

– მოძღვარო, **დროის** შესახებ რას გვეტყვი?

და მან უპასუხა:

– თქვენ დრო გინდათ გაზომოთ, უზომო და განუზომელი. თქვენ საათსა და წელიწადის დროის მიხედვით გინდათ იცხოვროთ და სულიც კი დაუმორჩილოთ მათ.

დრო ნაკადულად გინდათ აქციოთ, რათა მის ნაპირას დასხდეთ და დინებას თვალი ადევნოთ.

მაგრამ უდროობა თქვენში, სიცოცხლის უდროობას შეიცნობს.

და ისიც იცის რომ გუშინდელი მხოლოდ დღევანდელის ხსოვნაა, ხვალინდელი კი მისი ოცნება.

და რაც გალობს და აზროვნებს თქვენში, ჯერ კიდევ იმ პირველ ნამშია დავანებული, რამაც სივრცეში ვარსკვლავნი მოაბნია.

რომელი თქვენგანი არ გრძნობს რომ ძალა მისი სიყვარულისა განუსაზღვრელია?

და ვინ არ შეიგრძნობს რომ თვით სიყვარული თუმცა კია უკიდევანო, მაგრამ მისი ბუნების შუაგულშია მოთავსებული და სასიყვარულო ფიქრებისა და საქმეთა მწერივით არ განივრცობა.

და განა დრო მსგავსი არაა სიყვარულისა, განუყოფელი და განუზომელი?

მაგრამ თუ დრო საფიქრალში, წელიწადის დროებით უნდა გაზომოთ, დაე, ყოველმა მათგანმა ყველა დანარჩენი მოიცვას.

და დაე, დღევანდელმა, დღე გარდასული გულში ჩაიკრას ხსოვნით და გაისი კი ჟინიანი ლტოლვებით.



და ქალაქის ერთმა უხუცესმა თქვა:

– გვითხარი **სიკეთესა და ბოროტებაზე**.

და მან მიუგო:

– მე სიკეთეზე თქვენში შემძლია გესაუბროთ, მაგრამ არა სიბოროტეზე, რადგან რაა სიბოროტე თუ არა შიმშილითა და წყურვილით გატანჯული სიკეთე.

მართლაცდა, როცა სიკეთე შიმშილს განიცდის, იგი საკვებს ბნელ გამოქვაბულშიც კი ეძებს და წყურვილისას დამყაყებული წყალიც არ ეთაკილება.

თქვენ კეთილნი ხართ, როცა თავთან ხართ ერთნი.

მაგრამ როცა თავთან ერთნი არ ხართ, არ ბოროტდებით.

რადგან გაყოფილი სახლი მპარავთა ბუნაგი როდია, ის მხოლოდ და მხოლოდ გაყოფილი სახლია.

და გემსაც საჭეს გარეშე, სახიფათო კუნძულებს შორის ძალუძს უგზოო ტივტივი ისე, რომ ფსკერზე არ დაიძიროს.

თქვენ კეთილნი ხართ, როცა თქვენივე თავიდან ცდილობთ გასცეთ.

მაგრამ ბოროტნი არ ხართ, როცა კი თქვენთვის სარგებელს ეძებთ.

რამეთუ, სარგებლის მოპოვებისას თქვენ ფესვნი ხართ, მინას ვინც დაენაფება და მის მკერდს ნოვს.

მერწმუნეთ, ნაყოფი ფესვს არ ეტყვის: „ჩემნაირი იყავი, მნიფე და წვნიანი, ჩემი ბარაქით ბედოვლათი“.

რადგან ნაყოფისთვის გაცემაა საჭირო, როგორც მიღება ფესვისთვის.

თქვენ კეთილნი ხართ, როცა ლაპარაკობთ ძილქუშიდან მთლიანად გამოღვიძებულნი.

მაგრამ არ ხართ ბოროტნი, როცა გძინავთ და ენა თქვენი ტყუილად ლაყბობს.

და ენაბრვეილობასაც ძალუძს უძღური ენის გამაგრება.

თქვენ კეთილნი ხართ, როცა მიზნისკენ მტკიცე ნაბიჯით თამამად მიიწევთ.

მაგრამ ბოროტნი არ ხართ, როცა კოჭლობით მისკენ მიმავალნი.

ისინიც კი, ვინც კოჭლობენ, უკან-უკან არ მიდიან.

მაგრამ თქვენ უფრო სწრაფნი ხართ და ძლიერნი, კოჭლს კოჭლად არ მოაჩვენებთ თავს და საქციელი ესე, ზნეკეთილად მიგაჩნიათ.

ვერ დაითვლება მაგალითნი თქვენი სიკეთისა, მაგრამ თქვენ ბოროტნი მაშინაც არ ხართ, როცა არ ხართ კეთილნი.

თქვენ მხოლოდ უქმობთ და ზარმაცობთ.

ეჰ, ირმებს რომ კუთათვის სიმარდის სწავლება არ ძალუძთ!..

თქვენი თავისკენ ლტოლვაში ვეებადაა თქვენი სიკეთე და იგი ყოველ თქვენგანშია.

მაგრამ ზოგში ლტოლვა ძალუმი ნაკადია, თქვენს წყლებს რომ ზღვისკენ მიაქნებს და მთა-ბართა საიდუმლოებანი და ტყეთა სიმღერანიც თან მიჰყავს.

ზოგში იგი პანია ნაკადულია, განშტოებებში რომ იკარგება, გაიმარყუჟებს და შრება, ვიდრე კი მისწვდება ნაპირს.

მაგრამ დაე, ის, ვინც ბევრს მიელტვის, ნუ ეტყვის მას, ვინც მცირედით კმაყოფილდება: „რატომ აყოვნებ და მერყეობ?“

რამეთუ ჭეშმარიტად კეთილი შიშველს არ
ჰკითხავს: „სადაა სამოსელი შენი?“ და არც
უსახლკაროს: „რა დაემართა სახლს შენსას?“



შემდეგ ქურუმმა დასძინა:

– **ლოცვაზე** გვითხარი.

და მან მიუგო:

– თქვენ ლოცულობთ მწუხარებასა და საჭიროების ჟამს, ნეტავ ასევე დოვლათსა და სიხარულის სიუხვისას ლოცულობდეთ.

რადგან არსებობს განა ლოცვა, თუ არა თქვენივე ცოცხალ საუნჯეში შემღწეველი?

და თუ სივრცეში თქვენი წყვილიან განფენით თავს იხუცებთ, მაშ თქვენ, გულის გაციკროვნებული გამონათებით ჰპოვებთ სიხარულს.

და თუ სამშინველი თქვენი ლოცვისთვის გიბიძგებთ როცა კი სტირით, დაე, მაშინაც კი როცა მოთქვამთ, იგი ისევ და ისევ გიბიძგებდეთ მანამ, სანამ არ გაიცინებთ.

ალოცვისას მაღლდებით, რათა ჰაერში მათ შეხვდეთ, ვინც ამჟამისთვის ლოცულობს და ვისაც შესაძლოა შეხვდეთ მხოლოდ ლოცვის ჟამს.

ამიტომ იმ უხილავ ტაძარში, მხოლოდ სატკბო ურთიერთობისთვის და დიადი აღფრთოვანებისთვის შედით.

რადგან თუ ტაძარში შეხვალთ რომ მოითხოვოთ, არ მიიღებთ.

თუ შეხვალთ და ძირს დაემხოებით, არ წამოგაყენებენ.

და გინდ შეხვიდეთ რათა სხვებისთვის სიკეთე გამოილოცოთ, ლოცვა თქვენი შესმენილი არ იქნება.

ისიც საკმარისია, რომ უხილავ ტაძარში შედიხართ.

მე ვერ გასწავლით სიტყვებით ლოცვას.

ღმერთს თქვენი სიტყვები მხოლოდ მაშინ ესმის, როცა ის თვითონ გამოთქვამს მათ თქვენი ბაგიდან.

და ვერც ზღვათა, ტყეთა და მთათა ლოცვებს გასწავლით.

მაგრამ თქვენ – მთათა და ტყეთა და ზღვათა შობილნი, მათ ლოცვებს თქვენსავე გულში იპოვნით.

თუ ღამის სიჩუმეს ყურს მიუგდებთ, მყისვე მოისმენთ მღუმარებაში როგორ უბნობენ ისინი: „უფალო ჩვენო, დაფრთიანებული ჩვენი არსობა შენი ნებაა ჩვენში ვნებული.

იგი ნდომაა შენი, ჩვენში მონდომებული.

იგი ზრახვას შენი, იმ ჩვენ დღეებს, შენ რომ გეკუთვნის, იმ ღამეებად რომ აქცევს, ასევე შენი რაცაა.

ჩვენ ვერაფერს შეგთხოვთ, რადგან შენთვის ცნობილია ჩვენი სათხოვნელი, სანამ ისინი გაგვიჩნდებიან.

შენი არს ჩვენი სათხოვნელი და ბევრის გაცემისას შენ ყველაფერს გვაძლევ“.



და წინ განდევილი გადმოდგა, ქალაქში წელი-
წადში ერთხელ ვინც ჩამოდიოდა და თქვა:

– ტკობა-განცხრომაზე რაღას იტყვი?

და მან უპასუხა:

– ტკობა თავისუფლების სიმღერაა.

მაგრამ არა თავისუფლება.

თქვენს სურვილთა იერია,

მაგრამ არა მათი ნაყოფი.

იგი სიღრმეა სიმაღლის შემავედრებელი,

მაგრამ არა ღრმა და არა მაღალი.

იგი ტყვეა გალიაში ფრთების შემრხვევი,

მაგრამ არა შემოზღუდული სივრცე.

მართალია, ტკობა ჭეშმარიტად თავისუფლე-
ბის სიმღერაა.

სიამოვნებით მოვისმენდი მთელი გულით
როგორ მღერით, მაგრამ არ ვისურვებდი რომ
ამღერებისას გული დაკარგოთ.

არიან თქვენს შორის ჭაბუკნი, სიტკობებს
რომ ეძებენ, მათ კი ასამართლებენ და ემდუ-
რიან.

მე არც გავასამართლებდი და არც ვუსაყვე-
დურებდი. დაე, ეძიონ!

რადგან ისინი არა მხოლოდ ტკობას იპო-
ვნიან.

მას შვიდი დაი ჰყავს და მათში ყველაზე
უმცროსი სიტკობებზე მშვენიერია.

განა იმ კაცზე არ გსმენიათ მინაში ძირძურებს
ვინც ეძებდა და განძს მიაგნო?

არიან უხუცესნიც თქვენს შორის, ტკობა-
განცხრომას სინანულით რომ იხსენებენ, როგორც
სიმთვრალეში ჩადენილ შეცოდებას.

მაგრამ დანანება გონების დაბრკოლებაა და
არა მისჯა მისი.

მათთვის უმჯობესი იქნებოდა ტკობა მა-
დლიერებით გაიხსენონ, როგორც საზაფხულო
მოსავალს უმადლიან.

მაგრამ თუ სინანული მათ ანუგეშებს, დაე,
ინუგეშონ.

და თქვენს შორის არც ისე ახალგაზრდები
არიან რომ ეძებონ და არც ისე ბებრები რომ
გაიხსენონ.

თავიანთი შიშით საძიებლისა და მოგონებების
წინაშე, ისინი ყველა სალხინებელს ერიდებიან,
რათა სული არ შეურაცჰყონ, აბუჩად აიგდონ.

მაგრამ მათივე ზომიერებას, მათთვისვე მოაქვს სიტკბო.

ისინიც ასე პოულობენ საგანძურს, თუმცა მოცახცახე ხელებით ძირძურებს ეძებენ მინაში.

მაგრამ მითხარით, ვის ძალუძს სულის შეურაცხყოფა?

განა ბულბული ღამის სიჩუმეს ხელყოფს ან ჭრიჭინობელა ვარსკვლავს?

განა თქვენი ცეცხლი და ბოლი ქარს აწევს ტვირთად?

თუ გგონიათ, სული ისეთი მშვიდი ყურეა, არგანის ჩაყოფით რომ შეირხევა?

ხშირად ტკბობის დათმობით, თქვენს სურვილებს თქვენი ბუნების სამალავებში მალავთ.

ვინ იცის, იქნებ ის, რაც დღეს ხელიდან გაგისხლტათ ხვალინდელს ელის?

თვით თქვენმა სხეულმა იცის რაა მისთვის ალთქმული, წესით და რიგით რა სჭირდება და მას ვერ მოატყუებ.

თქვენი სხეული თქვენი სამშვინველის ქნარია.

და როგორ ააჟღერებთ მას ნება თქვენია, ტკბილი მუსიკის ჰანგით თუ აღრეული ბგერებით.

და ახლა გულში ღაღადებთ: „როგორ გან-
ვასხვაოთ რა არის მადლი ტკბობისა და რა არ
არის მადლი მისი?“

თქვენს ბაღნარსა და ქალებში შედით და
მიხედვით, რომ ფუტკრისთვის ნეტარებაა ყვა-
ვილისგან ნექტარის აგროვება.

მაგრამ ყვავილისთვისაც ნეტარებაა ფუტკრის-
თვის ნექტარის გაცემა.

რადგან ფუტკრისთვის ყვავილია სიცოცხლის
წყარო.

ხოლო ყვავილისთვის ფუტკარი სიყვარულის
მაცნეა.

და ორთავესთვის, ფუტკრისთვის და ყვავილის-
თვის, მიღება და გაცემა დიადი აღფრთოვანების
და მოთხოვნილების სიამოვნებაა.

ხალხო ორფალესისა, თქვენს ტკბობა-განცხრო-
მაში ფუტკრებსა და ყვავილთ ემგვანეთ.



პოეტმა თქვა:

– **მშვენიერებაზე** გვიამბე.

და მან მიუგო:

– მშვენიერებას სად დაუნყებთ ძებნას და როგორ მიაგნებთ მას, თუ იგი თავად არ გახდა გზა თქვენთვის და მეგზური თქვენი?

და როგორ ისაუბრებთ მასზე, თუ თქვენი სიტყვის მქსოველი იგი არ შეიქნა?

გულნატკენნი და დაჩაგრულნი იტყვიან: „სილამაზე მოალერსეა და ნაზი, როგორც ახალგაზრდა დედა დედობრივი სიამაყით ოდნავ დამცბარი, ჩვენს შორის რომ დაიარება“.

და ფიცხნი იტყვიან: „არა, სილამაზე მრისხანეა და ძლევამოსილი, როგორც ქარიშხალი ცასა და მიწას რომ შეანჯღრევს“.

დაღლილნი და გათანგულნი იტყვიან: „სილამაზე მინაბულ ჩურჩულს წააგავს. იგი ჩვენს სულში მეტყველებს. მისი ხმა ჩვენი დუმილის წინაშე იხევს უკან, როგორც მქრქალი შუქი ჩრდილის წინაშე მოცახცახე“.

მაგრამ შეშფოთებულნი იტყვიან: „ჩვენ გვესმოდა ის მთებში რომ გაჰკიოდა და მის კვილს

ჩლიქების თქარათქური მოჰყვებოდა, ფრთების თხლეშა და ლომთა ღრიალი“.

ღამით ქალაქის გუშაგნი იტყვიან: „სილამაზე აღმოსავლეთით ამოცისკრდება“.

და შუადღით, მგზავრნი და მუშაკნი იტყვიან: „ჩვენ ვნახეთ დაისის სარკმლით დედამინას როგორ გადასწვდა იგი“.

ზამთარში თოვლში ჩაფლულნი იტყვიან: „ის გაზაფხულს მოჰყვება და მინდვრებზე მოაბიჯებს“.

ხოლო პაპანაქება სიცხეში მომკელნი იტყვიან: „ჩვენ მისი ცეკვა ვნახეთ შემოდგომის ფოთლებთან ერთად და ვნახეთ თოვლის ფანტელები მის ნაწნავებში“.

ყოველივე მშვენიერებაზე თქვით.

სინამდვილეში მასზე კი არა, თქვენს მოუქარებელ მოთხოვნილებებზე საუბრობდით.

სილამაზე არაა საჭიროება, ის დიადი აღფრთოვანებაა.

იგი არც პირია მწყურვალნი და არც განვდილი ცარიელი ხელი.

მაგრამ აღმოდებული გულია და მონუსხული სამშვენიველი.

იგი ის სახეა არაა, რომლის ნახვასაც ისურვებდით და არც ის სიმღერაა, რასაც მოისმენდით.

იგი ის სახეაა, თქვენ რომელსაც ხედავთ გინდ თვალდახუჭულნი და ის სიმღერაა, რომელიც გესმით, გინდ დაიხშეთ სმენა.

იგი არც ფისია ამჟნარი ქერქის ნაოჭებში და არც ბრჭყალთან შეზრდილი ფრთა.

იგი ნალკოტია სახეებით და მარადაფრენილ ანგელოზთა დასი.

ხალხო ორფალესისა, სილამაზე სიცოცხლეა, თავისი წმინდა სახებიდან პირბადეჩამოსხნილი.

მაგრამ სიცოცხლე თქვენ ხართ და საბურველნიც თქვენ ხართ.

მშვენიერება მარადისობაა სარკვეში მაცქერალი.

მაგრამ მარადისობაც თქვენ ხართ და თქვენვე ხართ სარკვეც.



და მსცოვანმა ქურუმმა თქვა:

– **რელიგიაზე** გვიამბე.

და მან მიუგო:

– განა სხვაზე ვსაუბრობდი დღეს?

ნუთუ საქმენი ყოველნი და ზრახვანი, რელიგია არაა?

აგრეთვე ის, რაც არა არს საქმე და ზრახვა, მაგრამ საკვირველია და გასაოცარი, სამშვინველში აღმოცენებადი მარად, მაშინაც კი, როცა ხელები ქვას აპირკეთებს ან საფეიქრო დაზგასთან მშრომელობს?

ვის ძალუძს თავისი რწმენა თავის საქციელთაგან გამიჯნოს, ან მრწამსი თავისი საქმიანობისაგან?

ვის ძალუძს თავისი სანუთრო ასეთი სიტყვით მიმოფანტოს: „ეს ღმერთისთვისაა, ეს – ჩემთვის, ეს – სამშვინველისთვის, ეს კი – სხეულისთვის?“

საუამნე თქვენი ფრთებია, ყოველი აქნევით სივრცეს რომ აპოზენ.

მისთვის, ვინც ზნეობით, როგორც საუკეთესო შესამოსელით იმოსება, უმჯობესია შიშველი იყოს.

ქარი და მზე მის კანს არ ავნებს.

და ის, ვინც თავისი ქცევით ეთიკას მისდევს, თავის მგალობელ ჩიტს ამწყვდევს გალიაში.

თვით ყველაზე ლალი სიმღერაც ვერ შეაღწევს მავთულხლართებში.

და ის, ვისთვისაც კეთილღირსებაა სარკმელი, რასაც ხსნიან ან ჩარაზავენ, ჯერ თავისი სამშვინველის სახლში არ შესულა, სარკმელნი მისნი რომ აისიდან აისამდგა.

თქვენი ყოველდღიური ცხოვრებაა თქვენი ტაძარი და თქვენი რელიგია.

შიგ კი, როცა არ უნდა შეხვიდეთ, ყველაფერი თქვენი თან შიეყოლეთ.

ნაილეთ სახნისი და ბუკი, ხვედა და ქნარი.

ყველა ის ნივთი, სიამოვნებით ან აუცილებლობის გამო, რაც გააკეთეთ.

რადგან ჩამოხიბლულნი, თქვენივე მიღწევებზე მეტად ვერ ამალღებით და ვერც თქვენივე მარცხებზე უფრო ძირს დაეცემით.

და თან ყოველი ადამიანი ნაიყვანეთ:

რადგან თაყვანისცემისას მათ იმედებზე მაღლა ვერ აინავარდებთ და ვერც დაემუვებით მათ სასონარკვეთილებზე დაბლა.

და თქვენ რომ ღმერთი შეგეცნოთ, გამოცანების გამოცნობა არ მოგიწევდათ.

მიმოიხედეთ და დაინახავთ, ის თქვენს შვილებს როგორ ეთამაშება.

სივრცეში აიჭვრიტეთ და დაინახავთ ღრუბლებზე როგორ დააბიჯებს, გაელვებულ ხელებს რომ გაიწვდენს და წვიმად ჩამოენთქმევა.

თქვენ მას დაინახავთ ყვავილებში როგორ ილიმის, როგორ აეზიდება და ხეხილნარში დაგვიქნევს ხელს.



შემდგომ ამისა, აღმიტრამ თქვა:

– ხოლო ახლა გვითხარი **სიკვდილის** შესახებ.

და მან უპასუხა:

– გინდათ სიკვდილის საიდუმლო ამოიცნოთ. მაგრამ სად მიაგნებთ მას თუ არა, შიგ სიცოცხლის გულში?

ბუ, ვისაც თვალები ღამემ აუხვია, დილის იდუმალებას ვერ ახდის საფარველს.

თუ მართლა გნებავთ სიკვდილის სულის შეცნობა, სიცოცხლის ტანის სანილოდ თქვენი გულისკარი შეაღეთ.

რადგან სიცოცხლე და სიკვდილი ერთარსია, როგორც ერთარსია მდინარე და ზღვა.

თქვენი იმედებისა და გულისთქმათა სიღრმეში, მიღმას მდუმარე შემეცნებაა ჩაფლული.

და როგორც თესლნი თოვლის ქვეშ მძინარენი, გული თქვენი გაზაფხულის შესახებ ხედავს სიზმრებს.

ერწმუნეთ სიზმრებს, რადგან მარადისობის ბჭენი მათშია მიმაღული.

სიკვდილის შიში თქვენი, კანკალია მწყემსისა მეფესთან პირისპირ მდგომის, რომელიც ნიშნად მონყალებისა მალე დაადებს ხელს.

განა მწყემსის თრთოლვაში, ის წინათმგრძნობი სიხარული არ იმალება, რომ მეფისგან იქნება ხელდასხმული?

მაგრამ ყველაზე მეტად განა ცახცახი არ აშფოთებს მას?

რადგან რაღაა გარდაცვალება, თუ არა ქარში შედგომა შიშვლად და მზეზე გალღობა?

და რაღაა უკანასკნელი ამოსუნთქვა, თუ არა აფორიაქებულ მოქცევათა და მიქცევათაგან სუნთქვის გათავისუფლება, რომ მას ამაღლება და ადიდება შეეძლოს, ღვთის ძიება ნების ნებევრობით.

და მხოლოდ მღუმარების მდინარიდან როცა შესვამთ, ნამდვილად ლაღად გალობას მაშინლა შესძლებთ.

და როცა მწვერვალს მიაღწევთ, მაშინლა დაინყებთ ზეასვლას.

და როცა მინაც უკან მოითხოვს თქვენს გვამს, მაშინ შეასრულებთ თქვენს ნამდვილ ცეკვას.

და აი მოსალამოვდა.

და ალმიტრა გულთმისანმა თქვა:

– კურთხეულ იყოს დღე დღევანდელი, ალაგი ესე და სული შენი, რომ საუბრობდა ჩვენდა.

და მან მიუგო:

– განა მე ვლაპარაკობდი? და განა შემსმენელიც მე არ ვიყავი?

შემდეგ ტაძრის კიბეებზე ჩამოვიდა იგი და მთელი ხალხიც მას ჩამოჰყვა. ის თავის ხომალდთან მივიდა და გემბანზე ადგა.

და აღიმალლა რა ხმა, ხალხს მიმართა ისევ: – ხალხო ორფალესისა, ქარი მიბრძანებს რომ დაგტოვო შენ.

თუმცა ქარივით არ მეჩქარება, მაინც უნდა წავიდე.

ჩვენ მგზავრნი ვართ, უდაბურ გზათა მარად მაძიებულნი, დღეს არასდროს ვინყებთ იქ, სადაც გუშინდელი გავლიეთ და აისიც არასდროს შემოგვესწრება იქ, სადაც დაისმა დაგვტოვა.

ჩვენ მაშინაც გზაში ვართ, როცა დედამინას სძინავს.

ჩვენ აცოცხლებული მცენარის თესლნი ვართ და როგორც კი მონიფულობაში შევალთ და გულიც გადამნიფდება, ქარი აგვიტაცებს და მიმოგვაბნევს.

ხანმოკლე იყო თქვენთან დღეები ჩემი, მაგრამ უფრო მოკლე სიტყვები, რაც კი გითხარით.

მაგრამ თუ თქვენს სმენას ჩემი ხმა დაუდუმდება და სიყვარული ჩემი თქვენი მეხსიერებიდან ამოიშანთება, მე ისევ მოვალ.

და უფრო საესე გულით და ბაგეებით სულისდა უფრო მიმგებით, გიქადაგებთ.

ჰო, მე მოქცევასთან ერთად მოგიბრუნდებით.

და თუმცა შესაძლოა სიკვდილმა დამფლას და უდიდესმა სიჩუმემ მომიცვას, მე თქვენს თანაგრძნობას მაინც მოვძებნი.

და არა ამაოებაში დავუნყებ ძებნას.

და თუ ჩემს ნარმოთქმულში რაიმე მაინც ჭეშმარიტებაა, ეს ჭეშმარიტება თქვენს ფიქრებთან მეტად შეხმატკილებული, უფრო ჟღერადი ხმითა და სიტყვით გამჟღავნდება.

მე ქარს მიყვები ხალხო ორფალესისა, მაგრამ სიცარიელეში როდი გავქრები უკვალოდ.

და თუ ამ დღეს თქვენს ნადილსა და ჩემს სიყვარულს ახდენა არ უნერია, დაე, იგი შეპირებად დარჩეს, სანამ სხვა დღე არ დადგება.

ადამიანის სურვილები იცვლება, მაგრამ არა მისი სიყვარული, და ის ნიადაგ თავისი სანადელის ახდენას სიყვარულით ითხოვს.

ამიტომ იცოდეთ, რომ უდიდესი მღუმარებიდან დაგიბრუნდებით.

ნისლი, განთიადისას რომ მჭვირვალდება და მინდვრებზე ცვარსლა ტოვებს, აიზღაზნება, დიდ ღრუბელად მოიკრიბება და წვიმად დაცხრება.

და მეც, ნისლს ვემგვანე.

ლამის მყუდროებაში, თქვენს ქუჩებში დავდიოდი და სული ჩემი თქვენს სახლებში აღწევდა.

თქვენი გულისფეთქვა ჩემს გულში იყო და სუნთქვა თქვენი სახეზე მრჩებოდა და გიცნობდით ყველას.

დიახ, მე თქვენს სიხარულსა და თქვენს ტკივილს ვიცნობდი, და როცა გეძინათ, თქვენი სიზმრები ჩემი სიზმრები იყვნენ.

და თქვენში მე ხშირად ვყოფილვარ ტბა მთებს შორის.

თქვენი მწვერვალნი ჩემში ირეკლებოდნენ, დამრეცი ფერდობები და თქვენი ფიქრებისა და ნატვრების სამნესოც.

და ჩემს სიჩუმეში, თქვენი ბავშვების სიცილი ნაკადულებად რბოდნენ, თქვენი ყმანვილთა ვნებანი კი მდინარეებად.

და ჩემს სიღრმეს რა ჩააღწიეს, ნაკადულნი და მდინარენი მაინც არ წყვეტდნენ სიმღერას.

მაგრამ რალაცა, უფრო უტკბესი ვიდრე სიცილი და უფრო დიადი ვიდრე ვნება მენვია მე.

იგი უსასრულობა იყო თქვენში.

დიდი გოლიათი, რომელშიც თქვენ ყველა უჯრედები ხართ და კუნთები.

იგი, ვის სიმღერაშიც თქვენი ნამღერი მხოლოდ და მხოლოდ უხმო თრთოლვაა.

და სწორედ რომ ამ დიდ გოლიათში ხართ თქვენც დიდნი.

და მისმა შემყურემ შეგხედეთ თქვენ და შეგიყვარეთ.

რადგან სიყვარული, რომელ შორეთს არ გასწვდება, რაც ამ დიად სფეროში არაა?

რომელი ხილვანი, მინდობანი და ზრახვანი შეიძლება ამ ფრენამ გამოიხმოს?

ეს დიდი გოლიათი თქვენში ბუმბერაზი მუხის მსგავსია, მოვამლული ყვავილებით დახუნძლული.

ძალა მისი მიწასთან გაკავშირებით, სურნელი მისი სივრცეში აგზიდავთ და თქვენ უკვდავნი ხართ მის უდრეკობაში.

თქვენთვის უთქვამთ, რომ თუ გინდ ჯაჭვი იყოთ მაინც სუსტნი ხართ, როგორც თქვენი სუსტი ცანდი.

მაგრამ ეს სიმართლის ნახევარია, თქვენ ძლიერნიც ხართ, როგორც თქვენი უძლიერესი ცანდი.

თქვენს საქმეთაგან ყველაზე მცირედით თქვენი შეფასება, ოკეანის ძლიერების შეფასებას ნიშნავს მისი ფაქიზი ქაფის მიხედვით.

თქვენი განსჯა თქვენი მარცხისდა მიხედვით, ნელინადის დროებზე ბრალის დადებაა, მათი მუდმივი ცვალებადობის გამო.

ჰო, თქვენ ოკეანის მსგავსნი ხართ.

და გინდ, თქვენს ნაპირებთან მეჩეჩზე შემჯდარი გემნი მოქცევას ელოდნენ, თქვენ, რომც კი ოკეანე იყოთ, თქვენს მოქცევებს მაინც ვერ ააჩქარებთ.

და თქვენ წელიწადის დრონის მსგავსნიც ხართ.

და თუმცა თქვენი ზამთრობისას თქვენ გაზაფხულს განეშორებით.

გაზაფხული, თქვენში განფენილი, მთვლემარედ მაინც გიღიმით და არ ბრაზობს.

არ იფიქროთ იმიტომ გითხარით, რომ მერე ერთმანეთისთვის გეთქვათ: „მან ქებით შეგვამყო. მან ჩვენში მხოლოდ სათნო იხილა“.

მხოლოდ ისეთი სიტყვებით გელაპარაკებით, თქვენს ფიქრებში რაც გეცნობათ.

მაგრამ რაღაა ცოდნა სიტყვიერი თუ არა უსიტყვო შემეცნების აჩრდილი?

თქვენი ფიქრები და სიტყვები ჩემი ტალღებია, დალუქული მებსიერებიდან მიმოქცევადი, დღენი გარდასულნი რომ ინახავენ,

და ის დღენი შორეულნი, როცა დედამინა არც ჩვენ გვიცნობდა და არც თავს.

და ის ლამენიც, როცა მინა ბორგვაში იმყოფებოდა.

ბრძენნი, თავიანთი სიბრძნისაგან გასაცემად მოდიოდნენ. მე თქვენი სიბრძნისაგან ასალებად მოვედი.

და ახლა უფრო მეტი ვიპოვე, ვიდრე სი-
ბრძნეა.

იგი აალებული სულია თქვენში, უფრო და
უფრო აალებადი, ვიდრე მის განდიდებას ვერ
ამჩნევთ, ჩივით თქვენი დღეების ქრობისდა
გამო.

იგია სიცოცხლე, სხეულებში სიცოცხლის მა-
ძიებელი, სამარხნი ვისაც უფროთხიან.

აქ საფლავები არაა.

ეს მთანი და ფერდობნი აკვანია და საფე-
ხურნი.

და ყოველ ჯერზე, როცა კი ქალების მიღმა
ჩაივლით, სადაც თქვენი წინაპართა საძვალეა,
დააკვირდით და თქვენს თავს ნახავთ და შვილებს
თქვენსას ხელიხელჩაკიდებულთ მოცეკვავეებს.

მართლაც, ხშირად ხართ ბედნიერნი ისე რომ
არც იცით.

სხვები მოდიოდნენ თქვენთან ოქრო შეპირებე-
ბისთვის, რწმენად რაც გექცათ, მათ სიმდიდრე
მიეცით მხოლოდ, ძალაუფლება და დიდება.

მე შეპირებაზე მცირედი მოგეცით, მაგრამ ჩემდამი რაოდენ დიდსულოვანნი იყავით თქვენ.

სიცოცხლის წყურვილი თქვენ უფრო გამიმძაფრეთ.

და ჭეშმარიტად, უფრო დიდი ნიჭი არ არის კაცისთვის, ვიდრე ის, რაც ყველა მის მიზნებს ამომცხვარ ტურებად აქცევს, ხოლო ცხოვრებას მისას – შადრევნად.

აქაა ჩემი ღირსება და ჯილდო, როცა კი შადრევანთან წყურვილის მოსაკლავად არ უნდა მივიდე ვხედავ, ცოცხალ წყალს თავად სწყურია; და იგი მე მსვამს, სანამ მე დავლევ მას.

ზოგი თქვენგანი თვლიდა რომ ამაყი ვარ და ძღვენის მისაღებად ძალზე გაუბედავი.

ძალზე ამაყი დიახ გახლავართ, რათა საზღაური მივიღო, მაგრამ არა ძღვენნი, თუმცა კი ტყეთა კენკროვანით ვიკვებებოდი მდელოებს შორის, როცა თქვენ სუფრასთან ჩემი მოპატიჟება შეგეძლოთ.

და ტაძრის ტალანზე მეძინა, როცა თქვენ სიხარულით შემეფარებდით.

და მაინც, განა ჩემს დღეებსა და ღამეებზე თქვენი მოსიყვარულე მზრუნველობა, საკვებს ჩემი პირისთვის ტკბილს არ ხდიდა? და ძილს ჩემსას ხილვებით არ მოსავდა?

ამის გამო გლოცავთ თქვენ:

ბევრს მადლევთ, მაგრამ ამაზე წარმოდგენაც არ გაქვთ.

ჭეშმარიტად, სარკეში მოცქერალი სიკეთე ქვავედება.

და სათნო საქმე თავით დამტკბარი, წყევლათა მშობელია.

და ზოგი თქვენგანი უკარებად მთვლიდა, დამთვრალს საკუთარი სიმარტოვით.

და ამბობდით: „ის ტყის ხეებთან მოთათბირეა, მაგრამ არა ადამიანებთან. ფერდობზე მარტო ზის და ჩვენს ქალაქს ჩამოსცქერის“.

მართალი ისაა, რომ ფერდობზე ავბობლდებოდი და დავეხეტებოდი შორით. სხვაგვარად როგორ დამენახეთ, თუ მალლობიდან და შორეთიდან არა?

როგორ შეიძლება ნამდვილად ახლო იყო, თუ არ დაშორდი?

ხოლო სხვები მიხმობდნენ, მაგრამ უხმოდ და იტყოდნენ: „უცხო, უცნობო, აუღწეველ სიმალლეებში შეყვარებულს, რატომ ცხოვრობ იმ

მწვერვალთა შორის, სადაც არნივნი ბუდეებს
ნნავენ?

რატომ ეძიებ მიუნდლომელს?

რომელ ქარიშხლებს შეიპყრობდი შენი ბადე-
ბით და ცაში, რომელ მოჩვენებით ფრთოსნებზე
ნადირობ?

მოდის და ერთ-ერთი ჩვენგანი გახდის.

დაეშვი, შიმშილი ჩვენი პურით დაინაყრე და
წყურვილი, ჩვენი ღვინით დაიოკე“.

თავიანთი სამშენველის სიმარტოვეში ამბო-
ბდნენ ამ სიტყვებს;

მაგრამ სიმარტოვე მათი უფრო ღრმა რომ
ყოფილიყო, ეცოდინებოდათ რომ მე, თქვენი
სიხარულისა და ტკივილის საიდუმლოს ვეძებ-
დი მხოლოდ და თქვენი არსობის მხოლოდ იმ
ნაწილთაგანზე ვნადირობდი, ცაში რომ მოგზაუ-
რობენ.

მაგრამ მონადირეც ვიყავი და ნანადირევიც.

რადგან ბევრმა ისარმა დატოვა მშვილდი ჩემი,
რათა მკერდში ჩამსობოდა.

და ვინც ფრენდა, იგიც დაბობლავდა.

რადგან მზის ქვეშ როცა ვშლიდი ფრთებს,
მათი ჩრდილი კუდ განერთხმოდა მიწას.

და მე მორწმუნე, ვეჭვობდი.

და თითსაც ქრილობაში ვინობდი ხშირად, რათა უფრო მერწმუნა თქვენი და უკეთ შემეცანით.

და აი, ამ რწმენითა და ცოდნით ვამბობ:

თქვენ არ ხართ თქვენს სხეულებში გამომწყვდეული და ვერც სახლ-კარნი და მინდვრები შეგაჩერებენ.

ყველაფერი, რაც თქვენ ხართ, მთებზე მაღლა ბინადრობს და ქართან ერთად მოგზაურობს.

იგი ქვემძრომი არაა, რომ ამოხობდება მზეზე გასათბობად ან ხიფათისაგან სამალავად წყვდიადში გაითხრის სოროებს.

იგი სხვა რამეა უფრო თავისუფალი, სული მომცველი დედამინისა ზენა სივრცეში ვინაც მოძრაობს.

თუ სიტყვები ესე ბუნდოვანია, მათ ახსნას ნუ ეცდებით.

დაბინდული და ბუნდოვანია ყველა ამბის დასაწყისი, მაგრამ არა მათი ბოლო.

სიცოცხლე და ყოველივე ცოცხალი ბურუსში ჩაისახება და არა კრისტალში.

და ვინ უწყის, იქნებ კრისტალია ნისლი გაფანტული?

ვისურვებდი, რომ გახსოვდეთ ჩემი გახსენებისას:

თქვენში რაც ყველაზე უძლურად და დაბინდულად გეჩვენებათ, ყველაზე ძლიერია და გამორკვეული.

განა თქვენმა სუნთქვამ არ ამოზარდა თქვენი ძვალნი და განამტკიცა ისინი?

განა სიზმარი არაა, არცერთ თქვენგანს რომ არ ახსოვს, რამაც თქვენი ქალაქი აღაშენა და ყველაფერს თავისი სახე მისცა რაც კი მასშია?

თქვენ რომ აიმ სუნთქვათა მოქცევანი დაგენახათ, დანარჩენს აღარაფერს შეხედავდით.

და თქვენ რომ აიმ სიზმრის ჩურჩული გესმათ, სხვა ბგერათა მოსმენას ველარ შესძლებდით.

მაგრამ თქვენ არას ხედავთ და არა გესმით. დაე, იყოს ასე.

სუდარას, რომელიც თვალებზე გადევთ, ის ხელები ახდის ვინც ის მოქსოვა და თიხას, სმენას რაც გიხმობთ, ყურებიდან ის თითები ამოაძრობს ვინც ის მოზილა.

და მაშინ დაინახავთ.

და მაშინ მოისმენთ.

მაგრამ არ ინანებთ, რომ სიბრმავე შეიცანით და არც სიყრუეს შეინანებთ თქვენსას.

რადგან იმავე დღეს გაიგებთ ყოფიერების საკრალურ მიზანს.

და თქვენ წყვილიადს ისევ დალოცავთ, როგორც ლოცავდით ნათელს.

თქვა ეს და მიმოიხედა, და დაინახა, რომ საჭესთან მდგარი მესაჭე აფრებს აჰყურებს და ხან ზღვის შორეთს ექცევა მზერა.

და მან დასძინა:

– მომთმენია ჩემი გემის წინამძღოლი.

ქარი ქრის და აფრები შფოთავენ;

თვით საჭე ითხოვს გემის ალებას;

მაგრამ წინამძღოლი ჩემს დადუმებას მოთმინებით ელის.

და ჩემი მებლვაურნიც, დიდი ზღვის გუნდს ვინც ისმენდნენ, მოთმინებით მისმენდნენ მეც.

ახლა მათ არ მოუწევთ დიდხანს ლოდინი.

მზად ვარ.

ნაკადულმა ჩააღწია ზღვამდე და დედათმთავარი ისევ მკერდზე იკრავს თავის ყრმას.

მშვიდობით ხალხო ორფალესისა.

ეს დღე მიიწურა.

იგი ჩვენს წინაშე იხურება, როგორც ღუმფარა თავისი ხვალინდელისადმი.

რაც აქ მოგვეცა ჩვენთვის, ჩვენვე შევინახავთ.

და თუ გვეცოტავა, ისევ თავიდან შევიყრებით და გამცემისადმი ისევ გავინვდენტ ხელს.

არ დაივინყოთ რომ დაგიბრუნდებით.

კიდევ ცოტაც და ლტოლვა ჩემი, ახალი სხეულისთვის შემოიკრებს მტვერსა და ქაფს.

კიდევ ცოტაც, წამი ჩემი სიმშვიდისა ქარს მინდობილი და სხვა ქალი გამაჩენს მე.

მშვიდობით თქვენდა და სიჭაბუკევე, რაც კი გამიტარებია თქვენთან.

მხოლოდ გუშინდა იყო, ერთმანეთს რომ სიზმარში შევხვდით.

თქვენ ჩემს სიმარტოვეში მიმღეროდით და მეც, თქვენი ვნებიანი ლტოლვებით კოშკი ავაგე ცაში.

მაგრამ ჩაილია ჩვენი ძილი, გაკრთა ჩვენი სიზმარიც და აღსრულდა აისი.

ახლა შუადღეა ჩვენს თავს. ჩვენი ნახევრადგამოლვიძება ნათელ დღედ გვექცა და დროა დავემშვიდობოთ.

თუ კიდევე შევხვდებით, სამახსოვრო ბინდისას, ჩვენ ისევ დავილაპარაკებთ და თქვენ უფრო ღრმად ჩამწვდომ სიმღერას მიგალობთ.

და თუ სხვა სიზმარში ჩვენი ხელები ერთმანეთს შეხვდა, ჩვენ სხვა კოშკს ავაგებთ ცაში.

განასრულა რა სიტყვა, ზღვაოსნებს ანიშნა, მათაც მყისვე ამოქაჩეს ლუზა, ხომალდი ნავსაბმელიდან შეხსნეს და გასწიეს აღმოსავლეთით.

როგორც ერთი მთლიანი გულიდან აღმოხდა ხალხს ხმა და მტვრიან ბინდში აეშვა იგი და გადაეწვლო ზღვას, როგორც ბუკის ძლევა მოსილი ამოძახილი.

ერთადერთი აღმიტრა დუმდა, მზერით აცილებდა გემს, სანამ ის არ მიქრა ნისლში.

და როცა ხალხი დაიშალა, ის ისევ მარტო იდგა ახლო მეჩერზე და თავის გულში მის სიტყვებს იხსენებდა: „კიდევე ცოტაც, წამი ჩემი სიმშვიდისა ქარს მინდობილი და სხვა ქალი გამაჩენს მე“.



საგამომცემლო ჯგუფი

ირმა ბერიძე
ლაშა გადელია
ლიკა სხირტლაძე
ნინო ყულოშვილი

გარეკანის დიზაინი

ილია ხელაიასი



**გამომცემლობა
ინტელექტი**

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17ბ
25-05-22, 91-22-83, 8(99) 55-66-54
inteleqti@caucasus.net